



საქართველოს ხარ. სოც.-დემ. კარტიკის საზღვანო-გარეთობის გიურის სამსახური  
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# ქართველი

## დროშა

“NOTRE DRAPEAU”

832  
1977

დაასახაულია ნომ უორდანის 8094.

0) 0 8 0 6 3 0 4 0

1 9 7 7  
I

3 0 6 0 % 0

№ 88

შინაარსი:

შავბნელი თვე.

დასავლეთ—აღმოსავლეთი.

XX

გრიგოლ რობაქიძე

მინდია ლაშაური.

გადმოსვენება.

შმიდა ნინოს დღის გამო.

მოსე იმნაიშვილი.

თაიგულის მაგიერ.

† შალვა აბდუშელი.

ზურად გამსახურდიას პასუხი

გ. უიფიანი.

პრეზიდენტის ხსოვნას. ლექსი.

დ. ურატაძე.

საჭირობო საკითხები.

პ. ლეჭავა.

როგორ ხდება რუსიფიკაცია.

კ. ინასარიძე.

ქართ. ახ: მაგაზინების გაწვევა რუსულ ჯარში.

ეთერი ფალავას მიღწევები.

ქრონიკა, ნეკროლოგები და სხვა.

## შ ა ვ ბ 6 ე ლ ი თ ვ ე

ამ თვეს იყო, რომ დიდი რუსეთის წითელი ჯარი შემოესია ჩვენს პატარა ქვეყანას. აპეკეთა მისი თავისუფლება, გააუქმა მისი სუვერენული უფლებები. თებერვალი თვე მტრული თავდასხმის, მუხანათური ვერა-გობის, საქართველოს დიდი ისტორიული განსაცდელის დაწყებისა, კომუნისტურ-იმპერიალისტურ სახის და ბუნების გამოაშვარავებისა.

თოვლიანი თებერვალი, მძიმე ზამთარი და საშინელი თავგანწირული ბრძოლა ქართველი ხალხისა, რომელიც იცავდა მშობლიურ კერას.

აი მოგონება თებერვალში დატრიალებულ საბედისწერო ამბების...

ამ თვეში დაუპირისპირდა სისხლით შეღებილი წითელი დროშა საქართველოს თავისუფლების დროშა; წმიდა გიორგის აღამს.

მოსკოვი ვერ შეურიგდა დემოკრატიულ თავისუფლების არსებობას. მასში გაიღვია თვითმსყრობელ მეფეთა მისწრაფებამ სამხრეთში გაბატონებულიყო. პატარა ერის ჯარი ეკვეთენ მოზღვავებულ მტერს, და ბრძოლაში დაეცნენ...

რაც დრო მიდის თავისუფლდებიან მცირე ერები აზია - აფრიკაში მოსკოვი კი დღესასწაულობს ქართველი ხალხის ეროვნულად დამონებას.

დადგება დრო, ჩვენი ჩაგრული ქვეყანაც მოიპოვებს ეროვნულ თავისუფლებას. მისი რაინდული სული იმედით აღსაესეა, მისი რწმენის ჩირალდანი არასდროს ჩამქრალა!

## დასავლეთ — აღმოსავლეთი

კაცობრიობის ყურადღების ცენტრში უკვე წლებია, რაც სდგას სა-  
 კითხი, აღმოსავლეთ — დასავლეთ შორის დაძაბულობის შენელების,  
 ქრისტიანობის მშეიდობიანობის დამყარების და განიარაღების. ამ მხრივ 33  
 სახელმწიფოს მეთაურთა ყრილობა ჰელსინკიში, უსათუოდ, იძლეოდა სა-  
 იმდო პეტერბურგში და კარის მხარე შეასრულებდა  
 მიღებული ხელშეკრულებების პირობებს.

რა ბედი ეწვია საღლესასწაულო ატმოსფეროში მიღებულ ვალდებუ-  
 ლებებს?

ვიცით რომ კრემლი დიდი ხანია ითხოვდა ამ ყრილობის მოწვევას,  
 საიდანაც იგი მოელოდა, უკანასკნელ ომიდან ფაქტიურად შექმნილი  
 საზღვრების დაკინონებას, რის შესახებ მან აღვილად მიიღო დაკმაყო-  
 ფილება. აღმ. გერმანიის, ჩეხების, პოლონეთის საზღვრების შენარჩუ-  
 ნება, უსათუოდ, მის მიღწევად უნდა ჩაითვალოს... დაძაბულობის შე-  
 ნელების და თანაარსებობის მისაღწევად მიღებული პირობები, როგო-  
 რიცაა, — თავისუფალი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, მოქალაქეთა  
 თავისუფალი მიმოსვლა. ადამიანის უფლებათა დაცვა, გარეშე ერის  
 ცხოვრებაში ჩაუტრევლობა. ყველა ეს შესრულებული რომ არ იქნებოდა  
 მოსკოვიდან, ყველა ვისაც კი ჰქონდა მისს სურვილი, აღვილად გაიგებ-  
 და ბრექნევის განცხადებიდან: „თავისუფალმა ინფორმაციამ შეიძლება  
 ხელი შეუწყოს ერთა დაახლოვებას, მაგრამ იგიც შესაძლებელია, რომ  
 კრისტიანობის ჩამოაგდოს შულლი და მტრობა“-ი. დაბრუნდა თუ არა  
 ბრექნევი მოსკოვში, თავის ვრცელ სიტყვაში დაასაბუთა იდეოლოგიური  
 ბრძოლის აუცილებლობა, მისი გავრძელება, ე. წ. „პროლეტარული  
 ინტერნაციონალიზმის დროშით“, ეს უკანასკნელი კი მისს ნიშანას.  
 რომ გაამართლოს მომავალშიც სხვა ერის შინაურ ცხოვრებაში ჩატრევა,  
 „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით“ ვაუწია მან იარაღით  
 „დახმარება“, კავკასიის, ბალტიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ერებს,  
 დაანგრია მათი სუვერენობა, გაამჟფა მათზე ბატონობა და გავლენა...“

საბჭოთა პრესა აქეთ ედავება დასავლეთს, რომ იგი არ ასრულებს  
 ჰელსინკიში მიღებულ პირობებს, ამ გაღმა გადავების პოლიტიკის აქვს  
 თავისი დანიშნულება,, სახელმობრ, დააწყაროს და დაარწმუნოს საბ-  
 ჭოთა მოქალაქენი მძიმე ინდუსტრიის აუცილებლობაში იმ წყეულ კა-  
 პიტალიზმის აგრძელებულობაში.

მაშ რითი უნდა გაამართლოს იყ მდგომარეობა როცა მოსკოვის მა-  
 ლაზიების წინ, სანოვაგის ნაკლებობის გამო დაუთავებელი კუდია. ამის  
 დამალვა დღეს ძნელი ხდება... შეიარაღების ზრდა იწვევს უნდობლო-  
 ბას, ნდობის გარეშე კი შეუძლებელი ხდება დაძაბულობის შენელება,

ერთა მშვიდობიანი არსებობა. და აი, ორ დიდთა შორის ნამდევილი ჯიბ-რია გამარტული, თუ რომელი გამოივონებს უკეთეს გამანადგურებელ ატრიტუქის იარაღს.

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა თაობირმა წამოაყენა ერთი შეხედვით. დადგებითი წინადადება: „არც ერთ მხარემ არ უნდა იხმაროს პირველმა არომიური იარაღი“-ი. (იხ. ქართ. „კომ.“ 280). ატლანტიკის კავშირი სრულებით არ არის, როგორც ცნობებიდან სჩანს, განწყობილი ამ წინადადების მისალებად.

აქც უნდობლობა თამაშობს თავის როლს. საბჭოთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაში. მუდამ სჩანს ორკოფული მოქმედება...

დასავლეთს, უსათუოდ ერყობა ამხრივ გამოფხიზლება. საინტერესოა ევროპის ერთ დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურის განცხადება: „უნდა უარყოფილი იქნას სხვა ერგბზე გაბატონების სურვილი, არავინ უნდა ეცადოს თავისი პოლიტიკური გავლენის გაერცელება მეორე ერთეული, არავინ უნდა ცდილობდეს თავისთავის უპირატესობას. დაძაბულობის განელება უნდა გამოდიოდეს არსებულ მართველობათა სისტემის პატივისცემიდან. თითეულ ერს სრული უფლება აქვს აირჩიოს ისეთი რეჟიმი, რომელიც მას სურს“. და სხ.

დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში შემოიჭრა, აგრეთვე, პოლიტიკური ბრძოლის ახალი ფაქტორი; ესაა დასავლეთის ინდუსტრიალურ ქვეყნების კომპარტიების დამოკიდებულება მოსკოვთან, რომლებზეც საჯაროდ, ჯერ კიდევ მოსკოვის ყრილობაზე და შემდეგ პრესაში გვემიჯნენ მის ბრძოლის გზას, აღიარეს საბჭოური სისტემის უარყოფა და რომ ამიერიდან მათი პოლიტიკური ბრძოლა შეფარდებულია საკუთარ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებასთან, რომ მათ მიაჩნიათ აგრეთვე სხვადასხვა პარტიების არსებობა დასაშვები და სხ.

დასავარელია, კომუნისტური პარტიების იდეოლოგიური სალიქველი ურყევად რჩება და ახალი ტაქტიკა ნაკარნახევია ხელისუფლების პოპორბის მიზნით. მაგრამ ერთი ცბადია. მოსკოვმა დაჭიარვა იდეოლოგიური ბატონობა დასავლეთის კომპარტიებზე; მისი კარნახის, და მისი ლირექტივების ქვეშ არავის სურს მოქმედება..

ამ ახალი პოზიციის შედეგები უსათუოდ განვითარდებიან, ასეთია ჯველი პოლიტიკური მოძრაობის ლოლიკა... რომელსაც უსათუოდ ხელს უწყობს, საბჭოთა რუსეთში დაწყებული რეპრესიული მართველობის მხილება; დასავლეთის მშრომელი მასების წინაშე აისახა არა ჰუმანიური საზოგადოება, არამედ დესპოტიური...

„უმთავრესი მიზანია — ბრძანებს ბრეენევი, — საგარეო პოლიტიკაში ბრძოლა კაპიტალისტურ სამყაროსთან ნორმალურ თანაარსებობის და-

სამყარებლად". რომ ამაში გულწრფელობა იყოს, მაშინ ივი გაატარებდა ქელსინსკში მიღებულ ვალდებულებებს. რაც ხელს შეუწყობდა დასავ-ლეთ-აღმოსავლეთის დაძაბულობის მოსპობას. . .

ორმავი პოლიტიკა შიგნით და გარედ ერთს და იმავე მიზანს ემსახუ-რება საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს.

## გ ა დ მ ღ ს 3 0 6 0 8 5

კარგი საქმე გაკეთდა. გასულ წლის ოქტომბერს ლევილის ძმათა სა-საფლაოზე, ქალბატონ ნინოს და ბატონ კალისტრატე სალიას მზრუნ-ველობით და მათ მიერ ნიეთიერი სახსრის გაღებით, — გაღმოსვენებუ-ლი იქმნა გერმანიიდან, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი მიხეილ წერეთელი, და შეერიცხილან ცნობილი მწერალი და მოაზროვ-ხე გრიგოლ რობაჭიძე.

კვირას 21 ნოემბერს, პარიზის ქართულ ეკლესიაში, მათი სულის ძმისახსნებლად გადახდილ იქმნა პანაშვიდი. რომელსაც დაუსწრო მრა-ვალრიცხოვანი საზოგადოება.

გაღმოსვენებასთან დაკავშირებით, ვთავაზობთ მყითხველს საქართ-ულის პრეზიდენტის ნოე ქორდანის წერილს მიხეილ წერეთლის 70 წლის საუბილეო დღესასწაულის გამო. (იხ. „ბ. ძ. ქ. № 3).)

„სულით და გულით ვულიცა მიხაელ წერეთელს 70 წლის შესრულე-ბას. უსურვებდ ამ ასაკის კიდევ დიდ ხანს გაგრძელებას და თავის პოსტზე თავდადებულად გაჩერებას.

ბ. მიხაელის ვიცნობ დიდი ხანი, ვიცნობ როგორც იშვიათ ქართველი ინტელიგენტს, თავისი იდეალების წმინდათ მატარებელს და საზოგადო საქმიანობაში მუდამ ჩაბმულს, რაც სწამდა და სწამს მას ემსახურება უანგროთ, აშკარათ და შეუპოვრათ.

თავიდანვე მიხაელის დროშა იყო და რჩება ქართველი ერის აღორძინე-ბა, ამაღლება და საკაცობრიო ოჯახში შეყვანა. მაგრამ ამასთანავე მას მუდამ ქონდა საკაცობრიო იდეალიც, გამომუშავებული გზა-კვალი ერთა თანხმობით ცხოვრების და წინმსვლელობის.

მიხაელ თავიდანვე იყო და დარჩა პატრიოტი სამშობლოსი, პატრიო-ტი კაცობრიობის. ამ ორი მოვალეობის გაერთიანება და მათი საერთო ხაზით მუშაობა, მისი მუდმივი საზრუნავი საგანია.

კრიტიკულ მომენტებში ჩვენ შევხვედრივართ, გვისაუბრია და შე-თანხმებული დაშორებულვართ.

კაცი იდეის, რწმენის, ჰუმანიური დროშის — მიხაელ არასოდეს არ შავიწყდება.“

6. უორდანია. (ვანვი, 22-11-48).

## ბრიტოლ რობაშიძე

„ლამაზად შვილის აღმზრდელი,  
 დედა მიცვნია ღმერთადა!“

ვ ა ფ ა.

უურნალ „ჩვენი დროშას“ სივიწროვე საშუალებას არ გვაძლევს ფართოდ შევეხოთ გრიგოლ რობაშიძის შემოქმედებას, ამიტომ მცირედით უნდა დაკვირვოს იმ დროში, როცა მას გვაძლევთ.

პოდა, გრიგოლ რობაშიძე მრავალ მხრივ იღვწოდა მშობლიურ სარბიელზე, გარდა პოეზიისა, მწერალი ქართულ საზოგადოების წინაშე წარსდგა აგრეთვე, როგორც მხატვრული კრიტიკის იშვიათი ოსტატიც მისი პირველი ლექცია ქართულ ენაზე იყო ნიკო ბარათაშვილზე, შემდეგ ვაჟას „გველის მჭამელზე“, აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე და მრავალი სხვა.

პავლე თუმანიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის იშვიათი მცოდნე — მოხუცი. აღტაცებული იყო გრიგოლ რობაშიძის ლექსიგით და მისი ლამაზი ქართულით: „აი ჩვენი ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არა ესდებთ“. ამბობდა თუმანიშვილი.

კოტე ბაქრაძეს, გრიგოლ რობაშიძის მხატვრულმა ენამ შემდევი სიტყვა წარმოათქმევინა: „სად ისწავლა ამ ოჯახაშენებულმა ასეთი ქართული, გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა“.

ქართული ლექსის ვირტუოზი აკაკი კი მოხიბლა მისმა ქართულმა. ღიდმა მეოსანმა თავისი შთაბეჭდილება ასე დაიწყო გაზეთ „თემში“: „აშ განუტევე მონა შენი მეუფეო!“

ჩვენმა სახელმოვანმა ღიდმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა კი, გრიგოლ რობაშიძეს მზის ქურუმი უწოდა: „ქურუმია მზისა, ნამდვილი ქარუმი“.

მრავალმხრივია გრიგოლ რობაშიძის შემოქმედება: ლექსიგი, სონატები, ღრამები, პროზა თუ პოეზია. ყველა მისი ნაწერთა გვირგვინია „გველის პერანგი“ და „ლამარა“. „ლამარა“ მაინც, მთელი ქართველობის გული და ხალისი იყო. ვისაც უნახავს სცენაზე „ლამარა“, იგი დამეთანხმება, რომ ივი იყო ნამდვილი ღლესასწაული ქართველთა... და ერთი სცენა — სანახობა დაუვიწყარი; სცენის სილრმიდან მოისმის ხმა: „ვაჟა მოდის, ვაჟაუ!“ — სცენაზე გამოჩნდება ვაჟა-ფშაველა. ვაჟა კიდევ: ფშავ, თუშ, ხევსურ, ქართ, იმერ, გურ, მეგრ, სვან... შვილნია საქართველოს. „შვილნია საქართველოს!“ შესძახებენ მთის არწივს ხევსურ-

ნი, და დაბაზში იგრიალა ტაშმა და „ვაშას“ ძახილმა. წარმოდგენამ გაიმარჯვა. ლამარას გაუგონარი მიღწევა ჰქონდა! ლამარამ აალევა მოელი საქართველო! ლამარაში ქართველმა პოვა საკუთარი სული!

აი როგორ მოსთქვამს გრიგოლ რობაქიძე სამშობლოს სევდით დაევ-დიანებული მწერალი — მთაზროვნე: „ვზივარ აივანზე, (აქ ლაპარაკია მწერლის ცხოვრების უენევის პერიოდისა. მ. ლ.) და ვერთვი ნელნელ მდინარის ხმაურს, ჩაფიქრებული. „არვის“ უხმობენ. ხანდახან მგონია: რიონი თუა იგი, ანდა მტკვარი... მხე უხვად ეფინება ჩემს ბინაში, ბაგრამ იგი არაა „ცხრათველა“, როგორც ჩვენში... ვიხილავ კვლავ შენს სამდულობელოს, დიდო კარდუ! საქართველოს ან „საკადრულოს“... ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო კარდუ! მოსთქვამდა იგი.

ვერ იხილა; ასეთი ყოფილა განგება ლეთისა!

ვაჲ, უბედობავ! გრიგოლ რობაქიძის საფლავი არ უნდა იყოს დიდი ვაჲას გვერდით? — ეს დროც დადგება!

მინდია ლაშაური.

მიუნხენი, 1976 წლის დეკემბერი.



## ჭმილია ნინოს დღის გამო

ისტორია არ იცნობს ისეთ ხალხს, რომელსაც არ ჰქონდეს რელიგია. რელიგია მაშასადამე, აუცილებილი შემადგენელია ყოველი კულტურის, რაც კი არსებობდა აქამდე. რელიგია ადამიანის შინაგანის გრძნობის და სინდისის საქმეა, ამიტომ დაფუძნებულია ზნეობრივ ნორმებზე, რომლებიც ადამიანის მოქმედებას სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავენ. ეს ნორმები ყოველი მორწმუნისათვის სავალდებულოა: წარმუდენებია ისეთი მორწმუნე ქრისტიანი. რომელიც ქრისტიანული ეთიკის იმპერატივებს თავის სავალდებულოდ არ ხდიდეს. იესო ქრისტეს მოძღვრების დედაბოძისა მოყვასის სიყვარული: „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“. ამგვარი ჰქონისური ადამიანი წინასწარი პირობაა იესოს საერთო, საკადროო იდეალის განხორციელებისათვის, ეს იდეალია — ლეთის სამეფო, სადაც სუფევს სიყვარული, სამართლიანობა, ჰეშმარიტება და მშვიდობა.

იესო მოვიდა როგორც მესია, როგორც მხესნელი ცოდვით დატვირთული ადამიანისა, მოვიდა როგორც განმათავისუფლებელი ტეირთმძიმეთა და ჩაგრულთა. ამ ჰქონისტური ფილოსოფიის ბადალი ჯერ

არავის შეუმქნია და იგი დღესაც ფლობს კულტურული კაცობრიობის გრძნობას და აზროვნებას. მეორე მხრით, ქრისტეს მოძღვრება მაშვრალთა, ჩაგრულთა და სუსტთა რელიგიაა. ამით მას ეძლევა სოციალური შინაარსი. უკველია, ეს მეორე მომენტი ქრისტიანული სარწმუნოებისა. მისი გავრცელებისა და ტრიუმფისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ეს მოძღვრება წდაბით ხალხში მეტ გამოძახილს და აღფრთოვანებას პოულობდა.

ქართველი ადამიანის კეთილშობილსა და კაცომოყვარე ბუნებას სწორედ ეს რელიგია შეეფერებოდა, ეს რელიგია მისი მაღალი ჰუმანიზმით და საერთო საკაცობრიო იდეალით, ეს იყო ქართველის სარწმუნოება. აი, ეს სარწმუნოება დაამკიდრა საქართველოში კაპიდოკიდან მოსულმა ქალწულმა ნინომ.

ქრისტიანობის აღმოცენების პირველი დღეებიდან დაიწყო საქართველოში ქრისტიანული ქადაგება. აქ მოღვაწეობდნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანაანელი. რომელთაც ხალხური გადმოცემით, წილად ხვდათ ჩვენი ქვეყანა. ქრისტიანობას საქართველოში შტკიც საფუძველი ჩეყარა მრავალი მისიონერის მეოხებით, რომლებიც უმთავრესად მცირე აზიის ქვეყნებიდან მოღიოდნენ. გაჯრისტიანობის საქმე ა.ქ საგრძნობლად დაწინაურებული იყო, როდესაც შტეთას ეწვია ახალგაზრდა ქალწული ნინო, რომლის ღვაწლსა და მოლვაწეობას ჩვენი ხალხური გადმოცემა და ისტორია საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად შემოღებას აწერს. ამ დიდ მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი ჰქონდა მეოთხე საუკუნის პირველ მესამედში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება რომის იმპერიაში კონსტანტინე დიდის მიერ (306-337) უა საქართველოში მირიანის მიერ, თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. საქართველო ერთი პირველ სახელმწიფოთაგანი იყო, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს. ეკროპაში იგი შემდეგ გავრცელდა, კიევის ოუსეთმა კი გაცილებით უფრო გვიან, მე-10 საუკუნის მიწურულში მიიღო იგი, ექვსი და ნახევარი საუკუნის შემდეგ, ვიდრე საქართველომ. ქრისტიანობის უპირატესობა მის წინათ არსებული რელიგიის შიშართ, წმინდა სარწმუნოებრივად არის უპირატესობა მონოთეიზმის პოლითეიზმის წინაშე. კულტურულად კი ქრისტიანობამ თავისი ურყავი ეთიკის ნიადაგზე მოახდინა კაცობრიობის სულიერ-ზნეობრივი და გონიერივი გარდაქმნა; საქართველოსთვის ქრისტიანობის მიღება ნიშნავდა ახალ გზას, ახალს და უკეთს კულტურას, სიბნელიდან სინათლეში გამოსვლას, ქართველი ერის ნამდვილი ისტორიაც აქედან იწყება. და ამ ისტორიის და ახალი კულტურის დასაწყისში, მის

სათავეში დგას ახალგაზრდა ქალწული ნინო, ქართველი ხალხის ვან-მანათლებლად წოდებული, რომელიც მთელი თავისი არსებით, ქრისტიანული სათნოებით და სიყვარულით ქართველი ერის შემდგომ განვითარებას საფუძველს უყრის.

მთელი ამ განვითარების, ე. ი. საქართველოს ზრდა - წარმატების და კავკასიის ინტეგრაციის მთავრ პუნქტებზე ქართულ ისტორიაში დგას ორი ქალი, გამოსავალში. მის დასაწყისში — ნინო, მის მწვერვალზე თამარი, ქართველი ხალხის გაჭირვების, უბედურების დროში კი ისეთივე სამარადისო შექით ანათებს მესამე ქართველი ქალის სახე — ქეთევან წამებულის, რომლის დიდი მსხვერპლი უსაზღვრო ეროვნული მწუხრის საგანია და რომლის სახელი ისეთივე შარავანდედით არის მოცული, როგორც პირველი არის. მსოფლიოს მარტინოლოგიაში მნელად შეხვდებით სარწმუნოებისა და ერისათვის ასეთი თავდადებით გაღებულ მსხვერპლს, და ამ მსხვერპლის ადამიანური და ეროვნული სიდიადე ქართველის შეგნებაში შეიძლება კიდევ უფრო ძლიერად და ლრმადაა აღმცილი. ვინერ რომელიმე სხვა პიროვნების დამსახურება; ქალის ღვაწლი და მსხვერპლი ქართველის თვალში მამაკაცისაზე მეტს იწონის. ამ სამი მანდილოსანი პიროვნების ირგვლივ, ქართველ ხალხში არსებობს მრავალი თქმულება და გაღმოცემა და ძირიდარი მხატვრული ლიტერატურა, ისინი განსაკუთრებული ყურადღების, პატივის და თაყვანისცემის საგანი არიან. ქალი საქართველოში, ცხოვრების ყველა დარღვევი დიდი ხნიდან გათანასწორებულია მამაკაცთან, მაშინ როდესაც დასაკლეთის დაწინაურებულ ქვეყნებში-დაც კი, ქალის პოლიტიკური უფლებების მოსაპოებლად დღემდის დიდი ბრძოლა წარმოებდა და ზოგიერთ მაღანში ეს საკითხი ჯერაც მოუგვარებელია.

— : —

ქრისტიანობის შემოღებისას, ქალწული ნინო აარსებს ქართულ ეკლესიას და აწყობს საეკლესიო აპარატს. გაქრისტიანების საქმე დიდი წარმატებით სრულდება და საეკლესიო აპარატიც ისე სწრაფად მტკიცილება. რომ უკვე მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში საკათალიკოსო არსდება და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას, რომელიც იქნამდის ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა. ავტოკეფალია ენიჭება. შემდეგ მომხდარი გაერთიანებით დასაკლეთ საქართველოს ეკლესიასთან შეიქმნა ერთიანი ავტოკეფალური ქართული ეკლესია მცხეთის კათალიკოსით სათავეში. დამოუკიდებელმა ქართულმა ეკლესიამ შეინარჩუნა სულ ბოლომდე, მიუხედავად მრავალი დეენისა და შევიწროებისა სპარ-

სელების, არაბების, სელჯუკების, ოსმალების და სხვების მხრით და დაქარგა ის მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ.

მყისვე სახელმწიფო აპარატის შექმნისა იწყება გაცხოველებული მუშაობა მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და განათლების საქმეზი; ითარგმნება სახარება და ბევრი სასულიერო ფილოსოფიური და სხვა წიგნები; იწერება ქართული ორიგინალური ნაწარმოებები; არსდება მონასტრები, რომლებიც განათლების ცენტრები ხდებიან. ქართულმა ეკლესიამ მისცა მხოფლიო ქრისტიანობას ბევრი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწიგნობარი და მკელევარი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ დარგში მიენიჭა შემდეგ დაარსებულ ათონის და გელათის მონასტრებს, — მათი აკადემიებით, სადაც გამოჩენილი თეოლოგები და მეცნიერები მოღვაწეობდნენ. ქართულმა ეკლესიამ დიდი განმანათლებელი მოღვაწეობა გააჩიდა საზღვარგარედაც, სადაც დაარსდა ქართული მონასტრები, როგორც, მაგ. ახლახან ნახენები ათონის მთაზე, იერუსალიმში, კონსტანტინეპოლიში, სირიაში და სხვაგან. საქართველო ქრისტიანობის მიღებისთანავე გადაიქცა განათლების მნიშვნელოვან საერთაშორისო ცენტრად, სადაც ბევრი უცხოელი იღებდა განათლებას.

მხოფლიოს, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიებში გამეფებულმა დოგმატიურმა დავამ. მისი დაყოფის და დაქსაქსვის შედეგი მით. კერძოდ ფეხი ქართულ ეკლესიაში, რომელმაც მონოფიზიტური დოგმა დაგმო და ხალცედონის საეკლესიო კრებულის განაჩენს მიებრო, ამით დასავლეთის ეკლესიასთან სარწმუნოებრივი ერთიანობა დამყარა.

ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ქართული ეკლესიის ეროვნული როლიც; ის იყო ქართველი ტომების გამაერთიანებელი ფაქტორი, რომელმაც ერის გაერთიანებას დიდი საშახური გაუწია.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენდა სატრანზიტო გზას დასავლეთისა და აზიის ქვეყნებს შორის საქონლის-გაცვლა - გამოცვლის საქმეში, რომელიც ძველი დროიდან ამ მიმართულებით წარმოებდა... აქედან გამომდინარე ეკონომიკურ ინტერესს დაერთო აზიის ქვეყნებთან საქართველოს განუწყვეტელი ბრძოლების გამო, პოლიტიკურიც და ეს მომენტიც ითხოვდა საქართველოს დასავლეთურ ორიენტაციას. ამ ორიენტაციის გამომხატველია საქართველოს კავშირი რომის იმპერიასთან და შემდეგ ბიზანტიასთან, და მისი მუდმივი კულტურული და ეკონომიკური დამოკიდულებები დასავლეთთან, რომლებიც ხშირი შემოსევებით ფერხდებოდნენ. სარწმუ-

ნოებრივი ერთიანობის დამყარებამ ეს კულტურული დამოკიდებულებები დასავლეთთან კიდევ უფრო გააძლიერა და გაარღმავა, საქართველო გრძნობდა თავს ამ კულტურულ ხალხთა ოჯახის წევრად და მათთან სოლიდარულად. ამ კულტურულმა და რელიგიურმა სოლიდარობამ თავისი სრული გამოსახულება პოვა საქართველოს აქტიურ, თუმცა არაპირდაპირ მონაწილეობაში ჯვაროსნობის ოშში. კულტურული და სარწმუნოებრივი კავშირი, დასავლეთთან ხორციელდებოდა საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრების და სცეციალური მისიებისა და წარმომადგენლების საშუალებით საქართველოს მხრით და ასეთივე მისიებისა და წარმომადგენლების საშუალებით დასავლეთის მხრით. დასავლეთის მისიონერები განუწყვეტლივ მოდიოდნენ საქართველოში. უკანასკნელი მათგანი, რუსეთის მთავრობამ 1837 წელს გააძევა საქართველოდან. ცნობილია საქართველოს მისწრაფება და მისი ცდები ეპოვნა გარეშე მტრებისაგან თავდაცვის მიზნით დახმარება დასავლეთში და აქ თავდაცვითი კავშირი შეეკრა. ამ მიზნით გაგზავნილი ცრთ-ერთი მისიის სათავეში იდგა სულხან-საბა ოჩბელიანი. ეს ცდი მიეკუთვნის მიზნების გამო უნაყოფოდ დამთავრდა.

დასავლეთის ორიენტაციაზე მდგომი საქართველო მიმართავს ამის შემდეგ რუსეთს, რომელიც მას დასავლეთის ხალხთა წრეში ეგულებოდა და რომელთანაც სარწმუნოება საერთო ჰქონდა, და დებს მასთან მეგობრობის და თავდაცვით კავშირს. ამ ხელშეკრულების უკულმართი ბედი ჩვენ ვიცით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განთავისუფლებულ საქართველოში განხორციელებული დემოკრატიაც წარმოადგენს იმავე ორიენტაციის დასავლეთის ჰუმანისტურ კულტურაზე. რუსეთი კი, სხვაგვით წარვიდა, — ჩვენ არ დავვივიწყა, და ისევ შემოვიდა საქართველოში თავისი საშინელი რეეიმით. საქართველოს სარწმუნოებისა და ეკლესიის ბედი განუშორებელი დარჩა ქართველი ხალხის ბედისაგან, როგორც ეს წინათაც მთელ ჩვენს ისტორიაში იყო.

ბოლშევკიუბმა ძალადობაზე დამფუძნებული სახელმწიფოს კულტი შექმნეს, ეს ტლანქი ძალადობა ცხოვრების ყველა დარგში სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადეს, მთელი საზოგადოება და კერძო პიროვნება თვითნებურ სახელმწიფოს დაუმორჩილეს. ამ ნიადაგზე ააგეს მათ თავიანთი ე.წ. „სახალხო დემოკრატია“, რომელ შიაც პიროვნების ელემენტარულმა უფლებამ თავისუფლებაზე თვითმიმდევრულადაც ქაღალზე მხოლოდ პირობითი ნაწილობრივი აღიარება პოვა, სინამდვილეში, გამასადამე, უუფლებობის სისტემა დაამყარეს. მეორე ელემენტარული მოთხოვნილების, თანასწორობის მხრით კი, ყველა უბედურებაში

ჯათანასწორებს. აღიარებულია სინდისის და ლეთისმსახურების თავი-სუფლება და ამავე დროს ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლებაც. ამ თვალმაქური: კონსტიტუციის მიღებამდე დიდი ხნით ადრე დაარსებული ურწმუნოთა კავშირი არის ფაქტიურად სახელმწიფო იურგანო სარწმუნოებასთან ბრძოლის საქმეში და რა გაეთდა ამ მიმართულებით. საყოველთაოდ ცნობილია: სამღვდელოების და მორწმუნებისახლეობის მიმართ ტერორი, ეკლესიების დახურვა თუ დანგრევა, მაშასადამე, სარწმუნოებრივი კულტის ასრულების შეუძლებლობა, სარწმუნოების სკოლიდან განდევნა და ახალგაზრდობის ამ სკოლიდან და ოჯახისაგან ჩამოშორება. ყველაფერი ამის შედეგად სარწმუნოებამ, მორალური შეგნების ამ დიდმა ფაქტორმა, და ეკლესიამ სრულებით დაკარგეს თავიანთი. ისედაც შესუსტებული ტრადიციული როლი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, თითქმის საქსებით გაქრენ საუკუნეთა განმავლობაში შეისისხლხორციებული და გაღმოცემული ზნე-ჩვეულებები და შეხედულებები, რომელთა მნიშვნელობა ზნეობრივი სისპერაციისა და იდეური განვითარებისათვის მცირედი არ იყო. უმაგალითო ლევნისა და წვალების გავლენით, ბევრს მატერიალური სფეროს პრიმარი დაუფლა და მით დაკარგეს საჟუთარი მოქმედების მორალური და ფასების საზომი. რაც ამ მხრით საჭიროა, არის ის, რომ სარწმუნოების დაუბრუნდეს ქართველი ადამიანის. სინდისის სფერო, ე. ი. განთავისუფლდეს კომუნისტური ტირანის მიერ დაბორკილი სინდისი ქართველი ადამიანისა და მორწმუნეთათვის აღდგენილ იქნას თავისუფალი ლეთისმსახურება, არა იმიტომ, რომ ეკლესიამ დაკარგული პოზიციები ისევ მოიპოვოს, არამედ იმიტომ, რომ ფიზიკურ განსაცდელსა და ხშირად სულიერ კრიზისში მყოფ ქართველ ადამიანს ექნეს ერთი დასაყრდნობი ბოძთაგანი, რომელიც მას წარსულში უდიდეს ვანსაცდელთა დროს ამხნევებდა და ანუგეშებდა...

ქართველმა ხალხმა განვლო გრძელი გზა. თავის ისტორიაში მან განიცადა მრავალჯერ ზეიმიც და დამარცხებაც და დღეს იგი, უდიერად წელახული, დგას თავის შეგნებაში მტკიცედ თავისი ეროვნული მისწრაფებების ერთგული.

საბჭოთის კულტურა და წმინდა ნინოს მიერ დარგული კულტურა ერთმანეთს ევრ ეგუებიან, ამიტომაც ეს უკანასკნელი იქნა გეპეუს იიერ დათოგუნვილი. მაგრამ ჩვენ წმინდა ნინოს და მის საქმეს საქართველოს ისტორიას ვერ დავაშორებთ და დარწმუნებული ვართ, რომ განთავისუფლებული ქართველი ხალხი თავის განმანათლებელს პატივს ცემს და ადიდებს.

მოსე იმნაიშვილი.

გ. ყიფიანი.

### პრეზიდენტის ხსოვნას

(6. უორდანის დაბადების წლისთავისათვის.)

როს ჩრდილოეთს დაედინა  
საშინელი სისხლის ღვარი,  
შენ სამშობლოს დაუბრუნდი,  
ალადგინე მზის საზღვარი.

საქართველოს პრეზიდენტო,  
მომავალის გზა და ხიდო,  
გაიღვიძე, — გადმოგვედე,  
ბრძენი გონი არ დაგვრიდო.

სხივ-დროშები მშობელ ციდან  
დაგვიღრუბლა ჩრდილოს ჩრდილმა,  
შავი ღამე რვაასი წლის  
კვლავ დაეშვა, — კვლავ დამძიმდა.

შენმა ბრძოლამ აქანდაკა,  
ახალ რწმენით საქმე ძველი,  
იყო ერის აღმავლობა, —  
არაოდეს ოქტომბერი.

განისვენე ქართლის ბედო  
უბედობით განაბედო,  
აწ შენს საქმეს მარადიულს  
დრო და უამი ალავერდობს.

ლევილი 1976.

## ცვიად გამსახურდიას პასუხი „ნიუორქ“-ის ძორისპონდენტის

ზ. გამსახურდია კმაყოფილებით აღნიშნავს რომ ამერიკულ ამ უურნალში საქართველო მოხსენებულია დადგებითად, მაგრამ არ ეთანხმება კურნალისტის შეფასებას ზოგიერთ მიმღინარე მოვლენებზე. მოგვუავს ზოგიერთი ადგილები, რაც საჭიროდ ჩავთვალეთ გაგვეცნო ჩვენი მკითხველისათვის...

„სრულიად აუქსნელ მიზეზთა გამო, რუსეთში გამეფებულია ის აზრი რომ თითქოს საქართველო იფურჩქნებოდა და ყვავობდა სტალინის დროს, თითქოს საქართველოს არ განუცდია საშინელი სტალინის ტერორი, თითქოს საქართველოში არ ყოფილა კოლხუშები, და ომშიდაც გაწვეული იყო სულ მცირედი რიცხვი მცხოვრებთა და სხვა ასეთი ახირებული „ფაქტები“.

რომ ძირებსვიანა აღვფეხრათ ეს რუსეთში გამეფებული აზრი, ჩვენ მომოვიყვანთ შემდეგ ფაქტებს: 1924, 1937, 1948 წლებში ჩატარებული ტერორი, დაცვრეტები საქართველოში, დაუჯერებელ, განსაციფრებელ ციფრებს იძლევა; ქართველთა გადასახლება შუა-აზიაში უმაგალითოა ისტორიაში, — 450,000, მათ შორის მესხები — ქართველები, რომლებსაც „შეცდომით“ თურქ-მესხები უწოდეს. არ უნდა დავიკიტყოთ, რომ ქართველები ორი მილიონი ვართ. სტალინი განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი საქართველოსადმი, რადგან მოლიანად მისი მოსახლეობა იყო ანტიბოლშევიცური. აფრეთვე სტალინის პირადი გაბოროტება ქართველ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელიც კიდევ რევოლუციამდე გარიცხულ იქნა მის რიგებიდან და გაძევებული საქართველოდან... იხ. ავტარხანოვი: პარტოკრატიის წარმოშობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკელი უურნალისტები — უკრიტიკოდ არ მიიღებენ ამ მაგალითებს და თავისებურ კომენტარიებს გაუკეთებენ. განავრძობს ზ. გამსახურდია.

მოუხედავად მისი გენიალობისა რეპრესიების ჩატარებაში სტალინმა ვერ შესძლო აღმოეფხვრა ქართული ნაპერწყალი...

რაც შეეხება არალეგალურ ქარხნებს, კორუპციას, შავი ბირჟა, ისინი ხარობდა და ყვაოდა რუსეთშიც. ასე რომ საქართველო აქ არაა გამონაკლისი.

უურნალში აღნიშნულია, თითქოს ხანძრებს, აფეთქებას აწყობს „შავი ბირჟის სპეცულიანტები“. ეს მტკიცება მხოლოდ სიცილს იწვევს ყველა ქართველში. პირველ ყოვლისა, სპეცულიანტების უმრავლესობა არა ქართველია, რადგან, ცნობილია, უცხოელები სხვის ქვეყანაში საქმია-

ნობენ უფრო მოხერხებულად. მათ წინააღმდეგ აღძრული ბრალდებები ფორმალური ხასიათისაა. რაღაც ისინი დიდი ქრთამებით ყიდულობენ მილიციის მეთაურებს, ამის გამო, მათ დიდ უმრავლესობას არავინ არ სჯის, ცხოვრობენ წყნარად და მდიდრულად. ხანგამოშვებით მილიცია, ხალხის თვალის ასახვევად იჭერს ზოგიერთ მათვანს. რაღაც თვით ყიდულობენ მათვან საქონელს, მე პირადად ბევრ ასეთ მილიციის თანამშრომლებს ვიცნობ.

სტატიაში ვხედავთ ასეთ მტკიცებასაც. რომ საქართველოში არსებობს რაღაც „კუალიცია“ სპეცულიანტებისა და ქართველი ნაციონალისტებისო, ორმელიც თურმე აწყობს დივერსიებს. ეს ვერსია აღმოცენდა ოფიციალურ საბჭოთა წყაროზე. გამ. „კომუნისტის“ რედაქტორი დავით მჭედლიშვილი, რომელსაც ესაუბრენ ამერიკელი კორესპონდენტებს თბილისში ყოცნის დროს, რასაკეირველია, დაავიწდათ შთავარი დამახასიათებელი თვისება საბჭოური პრესისა: ისაა ხიცრუე, რომლითაც შეცდომაში შეჰვავს არა მაჩტო ადგილობრივი, მოქალაქე, არამედ უცხოელებიც; მჭედლიშვილს, ამ მართლა ტყუილების მეფეს, ქონდა გარკვეული მიზანი, როდესაც ა რ ა ს წ თ რ ცნობებს აძლევდა უცხოელ კორესპონდენტებს. პირველ ყოვლისა ის ეცადა დაერწმუნებოა: იმაში, რომ ისინი ვინც აწყობენ ხანძრებს არიან ჩაძირალები საზოგადოებისა, რომლებიც ამიერიდან ვერ ახორციელებენ მათ შავ საქმიანობას, და ამასთანავე ის ამცირებდა ქართველ პატრიოტებს, რომლებიც ნაძირალების მოკავშირეთ გამოიყვანა.

ახლა ავილოთ ტიპიური შემთხვევა, — აფეთქება სამხედრო საავიაციო, დიმიტროვის სახელობის №31 ბაზისა, თბილისში 1975 წ. ოქტომბრი, დიმიტროვის სახელობის №31 ბაზისა, თბილისში, 1975 წ. ოქტომბრი, რაღაც ქარხანა დაცულია სამხედრო წესით. იქ შესვლა მხოლოდ შეუძლია მუშა-მოსამსახურებს, და მაშასადამე აფეთქება სწორედ ამ უკანასკნელიდან მოდის, რაღაც უკვე იყო ბევრი გაფიცვები, პრეტესტები, იყო შემთხვევები, როდესაც მუშები ამტკრევდნენ მანქანებს, და არ გამოიღოდნენ სამუშაოდ. არიან ავრეთვე შემთხვევები, როდესაც შემკეთებელი ჩაწესებულების თანამშრომელთ მოელის საფრთხე, რაღაც მათ საანგარიშო წიგნებში ყველაფერი თავის რიგზე არ არის, და ამ მდგომარეობიდან რომ თავი დაახწიონ, ცეცხლს უკიდებენ დაწესებულებას; სწვავენ საანგარიშო წიგნებს და საკონტროლო კომისიას აღარ აქვს საშუალება დამტკიცოს გაფლანგვა.

მაშასადამე, თანამშრომელები ამ საშუალებით თავს იხსნიან დაკერისაგან, ასე რომ, ხანძრებს თუ აფეთქებებს აქვს უსათუოდ ღრმა სოციალური და ეკონომიკური მიზეზები.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში, მისწრაფება არალეგალური საქმიანობისაკენ ფულის მოგების მიზნით, — გამოიწვია დაბალი ხელფასის გამო, ფასები კი ბაზარზე ძლიერ მაღალია, ამიტომ, ადამიანს არ შეუძლია ნორმალური კვება, ჩაიცვას დაიხუროს, ერთი სიტუაცით შესძლოს თავის გატანა“.

8. გამსახურდია.  
 („ოვითგამოცემა“).

—[=]—

### თაიგულის გაგირ \*

0რაპლის, კარლოს და ევგენის

ამ საში პიროვნების ხსნება დაკავშირებულია მაის-ივნისის თარიღებთან. 21 მაისს, შორს, ჩრდილო-ამერიკაში სამუდამოთ დადუმდა დემოკრატიისა და სოციალიზმის ოქროპირის, დიდი ორატორის და შორსმჭფრეტელი პოლიტიკოსის, ირაკლი წერეთელის პირი.

6 ივნისს გაგუშორდა ტრალიკულად საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ჩვენი კარლო ჩხეიძე. — შეუდარებელი თავმჯდომარე, ენა მოსწრებული ბრძენი, სამართლიანი და უაღრესად უმწიველო ქართველი პატრიოტი. მან თან წაიღო საიდუმლოება მისი ტრალიდისა და დაგვიტოვა ანდერძი საქმის მოვლის.

11 ივნისს, სრულიად მოულოდნელად გამოვეცალა ხელიდან საქართველოს გარეშე, საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეშვილი, კაცი აღმურვილი ყოველ იმ ძეირფასი კეთილშობილი თვისებებით რომელიც ახასიათებს კეთილშობილ ქართველ ერს, და რომლითაც ვამჟამად ყველა ჩვენ. სამთავრე ეს პირები გაიზარდნენ და დავაკაცდნენ უმთავრესად ბაშინ როდესაც 1905 წლის რევოლუციის გავლენით შეიქნა შესაძლებელი საჯარო ასპარეზზე გამოსცვლის, როდესაც გაიხსნა რსეეთის იმპერიის, ეგრედ წოდებული, პარლამენტის ჩანასახი, სახელმწიფო სათათბიროს სახით. მეორე სათათბიროში, დიდ სტოლიპინთან აზრთა ჭიდილში ისახელა თავი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჭაბუქმა ირაკლი წერეთელმა, ამ სათათბიროს არსებობის მცირე ხანაში ირაკლი გახდა უდაო მეთაური ოპოზიციისა. მისმა გამოსცვლებმა მიიქცია მთელი კაცობრობის ყურადღება. რითაც დაიმსახურა მეფის მთავრობის რისხვა; განიცადა კიხე. 7 წლის კატორდა ცივი ციმბირისა.

\* ) ჩვენი ძეირფასი ამხანგის, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის შ. აბდუშელის მოგონება გადმოგვცა მისმა მეუღლემ ქალბატონმა ლუბამ.

თებერვლის რევოლუციის დროს ირაკლი შერეთელი ჩაუდგა სათავე-ში რევოლუციონურ დემოკრატიის, გახდა მისი უდაო მეთაური, ირაკლი პირველმა აულო აღლო ბოლშევიკების ვერაგობას და შეებრძოლა მათ სასტიკად. სამწუხაროდ, მან ვერ მიიმზრო თავისი თანამოაზრები, რამაც გამოიწვია თებერვლის რევოლუციის დამარცხება.

ირაკლი გმირულად წარსდგა ბოლშევიკების მიერ მოწვეულ დამფუძნებელ კრებაზე; ამხილა ბოლშევიკების ბოროტება არ შეუშინდა რაც მათ მუქარას, არც მათ ხიშტებს და ბომბებს.

თავისუფალმა საქართველომ, ირაკლის, კარლოსთან ერთად დაავალა ელჩობა თავისუფლ კაცობრიობასთან. მათ დაიარეს ერთად მთელი დასავლეთი ევროპა. გააცვენეს ჩვენი ამბავი და დააჯერეს ევროპა, მიაღწიეს ჩვენი სახელმწიფოს იურდიულ ცნობას. შემდეგ კი, განუმარტეს მთელ ქვეყანას თუ როგორი ტლანქი უსამართლობა ჩაიღინა წითელმა რუსეთმა ლენინისა და სტალინის დავალებით 1921 წლის თებერვალში.

ირაკლი იყო ავტოთვე ჩვენი ერის წარმომადგენელი სოც. ინტერნაციონალში, სადაც მან დიდი აგიტაცია გასწია ჩვენი ქვეყნის მართალი და სამართლინი მოთხოვნილებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის დროს ირაკლი უკვე დაავადმყოფებული შეეხისხნა ჩრდილო ამერიკას, სადაც შეუდგა თავის მოგონებების წერას, ხარვერდის უნივერსიტეტის დავალებით.

სამწუხაროდ, ეს მემუარები მან ვერ დაამთავრა, მაგრამ რაც მოასწრო ეს დიდი განძია ისტორიისათვეს.

ულმობელმა სენმა, შესწყვიტა მისი გულის ძერა და დახუჭა მისი ლამაზი და ჭკვიანი თვალები.

კარლო ჩხეიძე უკვე ცნობილი საზოგადო მოლეაწე იყო, როდესაც წარიგზავნა მესამე დუმის სათათბიროში, როგორც თბილისის ვუბერნიის დეპუტატი. მისმა მოსწრებულმა შინაარსიანმა და მოწინააღმდეგებით სარეაზმით სახეს სიტყვებმა მიიქცა თავიდანვე დიდი უურადღება. როდესაც კარლო იწყებდა ლაპარაკს, ზალის გარემო სადგომები ცარიელდებოდა, დარბაზი იქსებოდა და დეპუტატები სმენად იყვნენ გადაქცეული; კადეტებს გული სწყდებოდათ როცა ჩხეიძეს უფრო ყურადცებით უსმენდნენ ვიდრე მილუკოვს და როდიჩებულ, ამბობდნენ ისინი.

კარლო საჯარო სხდომებზე ებრძოდა მთავრობას და მემარჯვენე რუსებს, და სოც. დემოკ. ფრაგიაში, პროვოკაციებით წაქეზებულ ბოლშევიკებს რომლებიც მას არ აძლევდნენ მოსვენებას.

ასე გაგრძელდა მესამე და მეოთხე სათათბიროში. თებერვლის რევოლუციურ დღეებში, კარლოს დაწვა მეტად დიდი და ფრიად საპასუ-

ხისმგებლო მოვალეობა. ის გახდა რუსეთის იმპერიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. ძნელი წარმოსაღენია ის გაწა-მაწია, რომელშიდაც ის ჩავარდა ამ ისტორიულ დღეებში. კარლომ გამოიჩინა დიდი გამძლეობა, იშვიათი ნიჭი და ხასიათის სიმტკიცე, როგორც თავმჯდომარემ. ბოლშევიკების ძალმომრეობის შემდეგ ის ბრუნდება სამობლოში, სადაც დაიკავა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის აღილი.

საქართველოდან კარლო, ირაკლი წერეთლის თანხლებით მივლინებული იქნა ევროპაში, უდავოდ, დიდი საქმის გამოსაწყობად ქართველი ერის ისტორიაში. ეს ის დროა, როცა ჩევნი ქვეყანა მკვდრეთით აღსდგა და თავისთავს დაეპატრონა. და უპირველესი საზრუნვა საკითხი გახდა ქართველი ერის პოლიტიკური ვინაობის გაცნობა და სავლეთ ევროპის დაწინაურებული ერებისათვის. კარლომ და ირაკლიმ დიდი და დაუფასებელი მუშაობა აწარმოეს უცხოეთში, რის შედეგიც იყო ჩევნი ერის დამოუკიდებლობის ცნობა. მათ მოუპოვეს ახლად განთავსუფლებულ ქართველ ერს, სახელმწიფოებრვი საკაცობრიო უფლება. ხოლო, წითელი ჯარების მიერ ჩევნი ქვეყნის ქურდულად დაპყრობის შემდეგ მედგრად და სამართლიანად ამხილეს მსოფლიო აზრის წინაშე ბოლშევიკების მიერ ჩადენილი ყოვლად საზიზღარი და სრულიად უმართებულო ბორიტმოქმედება.

ევგენი გეგეშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვექილი, კარლოს რჩევით და დავალებით, მან გაანალდა ყოველი იმედები რუსეთის იმპერიის სათათბიროში მედგარი და გაბედული გამოსვლებით. საქართველოს ისტორია, უდავოდ. მას მიანიჭებს სახელს პატარა ერების დიდი ქმაგის. მან სასტიკად გაიღაშერა არსებული წყობილების წინააღმდევ. მომხრებს თუ მოწინააღმდევებს არ გამოეპარა მისი დიდი ნიჭი და უნარი, რაც სასიქადულო ყურადღებით იქნა აღმეცდილი ორივე მხრივ. ტინონიანდისის სრულუფლებიანობის საკაცობრიო სინათლეზე გამოტანით მან დაიმსახურა მართლისა და სიმართლის მღალადებელის სახელი სხვა დიდ ქართველებთან ერთად.

ქართველ საზოგადო მოლვაწეებში ევგენი და აკაკი ჩხერქელი იყვნენ ყველაზე უფრო პოპულიარული დაჩაგრულ ერებში. აკაკიმ განსაკუთრებით ისახელა თავი აჭარლების დაცვაში.

ევგენი გეგეშვილმა დიდი როლი ითამაშა, როგორც ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ, და შემდეგ, როგორც საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა. გადმოხვეწილობაში ევგენის როლი ყველასათურის ცნობილია, ის მუდამ და მედგრად ერის უფლების სადარაჯოზე იღ-

გა. მისმა უდროოდ დაკარგვამ ერთიანად დააობლა ქართველ გადმოხ-  
 ცეწილთა საზოგადოება განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა.

ეს სამი ადამიანი იყო, უდაოდ, ბრწყინვალე და საამაყო წარმომად-  
 გენლები ჩვენი ქვეყნის; სხვადასხვა ბუნების, სხვადასხვა ზასიათის, სა-  
 მიენი იყვნენ განსჭვალული ერთი და იგივე იდეით, ერთივე მსოფლ-  
 შრედველობით. მათი იდეა იყო სამშობლოს სამსახური, უმაღლესი სა-  
 კაცობრიო იდეალები: ადამიანისა და ერთა თავისუფლების თანმიერ-  
 ლებით სოციალური თანასწორობის. ამ უდიდეს იდეალებს შესწრეს  
 თავი. მათ ჩვენ დაგვიტოვეს ანდერძი: ვიბრძოლოთ, სანამდის დღენი  
 არ დადგებიან ნეტარნი.

ეს დღე ნეტარი დადგება მაშინ, როცა ათეულ წლების მონობის შემ-  
 დეგ, ქართველი ხალხი თავისუფლად ამოისუნთქებს, როცა თებერვლისა  
 და მარტის ბურუსიან დღეებს შეცვლის მაისის ნათელი მზიანი ბედნი-  
 ერი დღეები.

მათი სახელი იქნება მუდამ მოხსენებული ისე როგორც ბერძნებისა-  
 გან მთელი მართლმადიდებელ ქრისტიანობისათვის სახელები: ვასილ  
 ლილისა, გრიგოლ ხვთისმეტყველისა და იოვანე ოქროპირისა.

**შალვა აბდუშელი.**



## როგორ ხდება ჩუსიფიკაცია

ბ-ნ შევარდნაძეს, რომ დაუჯეროთ, ქართულ ენას არავითარი საფრ-  
 თხე არ მოელის, მისი იმედით რომ შევხედოთ მომავალს, წინასწარ  
 გლოვა და დატირება გვმართებს, მაღლობა განვებას და ქართველი ერის  
 გამძლეობას, მისი ლირსული შეილების შერკინებას, მეცნიერ-პედაგო-  
 გიურ ძალების ჩუმ და მუყაით შრომსა და ბრძოლას, რომ ისინი უსა-  
 თუოდ ხედავენ იმ რეალურ საშიშროებას რომელსაც, თანდათანობით,  
 შეუძლია დაიყვანოს ქართული ენა კუთხურ კილოკავის ლირსებამდე.

შეიძლება ვინმე გულუპრყვილო იყოს და შემოგვედავოს: ამდენი  
 უურნალ-გაზეთები, იმდენი ქართული გამოცემები განა ქართულ ენაზე  
 არ გამოდის? უსათუოდ, მაგრამ განა ის ორი ქართველი მწერალი არ  
 ამჩნევდა ამას, განვაში რომ ასტეხს, და მთელმა დარბაზმა ტაში დაუკ-  
 რა? მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ღრმა და დამაფიქრებელი, ვი-

ნემ ეს ზერელედ მოეჩენოს აღამიანს. საქმე ეხება ჩვენს მომავალ ეროვნულ სახეობას, ჩვენს მოდგმას, რომელიც ხალინდელი დღით არ განისაზღვრება. ჩვენ აქ თავი მოვუყარეთ ყველა ფაქტებს, ზოგს ნათქვაძს და დაწერილს, ზოგს ახალს...

ყველაზე საშიში, ყველაზე მპრელი და ყველაზე ეფექტურია, ჩვენი მცირეწლოვან ბავშვების უცხო ენაზე აღზრდა. რომლებსაც ან-ბანს ასწავლიან რუსულ ენაზე, თითქმის სკოლაში მიბარებისთანავე, ჯერჯერობით ეს მეტ წილად ხდება ქალაქებში, სადაც თვით მშობლებს მიჰყავთ ბავშვი რუსულ სკოლაში, არ დავიჯერებდით რომ ერთ ქართველ შანდილოსანს, თვალცურემლიანს არ ეამბოს ჩვენთვის: „დიალ; სამწუხაროდ არის ჩვენს დედაქალაქში ასეთი შემთხვევები“. სოფელში უფრო ძნელი ხდება ბავშვებიდან რუსულის თვისება, რადგან სახლში მშობლებიდან არ ესმით რუსული ლაპარაკი. ამასაც გამოუნახეს წამალი, ტეხედვაში თოჯინებს ალაპარაკებენ რუსულ ენას, ბავშვებს ცხადია ეს იტაცებს და უადვილებს რუსულ ენას დაეუფლონ... ცხადია, ბავშვის გონიერება ეჩვევა უცხო ენას, შემდევში მისთვის ადვილი ხდება საშუალო სკოლაში საგნების დაძლევა, მით უმეტეს თანდათანობით საშუალო სკოლაში გამეფებული იქნება მაცადინეობა რუსულ ენაზე, აქეთვენ მიდის სასკოლო პოლიტიკა. საბუთი? გაიხსენეთ პოეტის მხილება მწერალთა კავშირი კრებაზე. (იხ. “ჩვენი დროშა” № 87).

„საინტერესო მუშაობა წარმოებს ზუგდიდის საშუალო სკოლაში, აქ ისტორიას, გეოგრაფიას და ფიზიულტერიის გაკვეთილები ტარდება რუსულ ენაზე. უკვე მეტეთ კლასიდან ბავშვებმა, ერთი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს რუსული ენის შესწავლაში“—ი. აქ კავკაციულება გამოოქმულია რუსული ენის შესწავლისთვის. ეს არის მიზანი.

განა ისტორია-გეოგრაფია ქართულ ენაზე არ შეიძლება შესწავლილ იქნას ზუგდიდის საშუალო სკოლაში?

მოსკოვიდან მიიღეს ინსტრუქცია უკრაინის, ბალტიის ქვეყნების უნივერსიტეტებმა, რათა ზოგიერთი სახელმძღვანელოები იქნას შედგენილი რუსულ ენაზე, სპეციალისტებიც მოვლინებულ იქნებიან წერტილიდან. ამ ცნობამ, ზემოდასახელებულ ქვეყნებში გამოიწვია სასტუკი პროტესტები. ახლა, როგორც სჩანს, ჩვენს მეცნიერების ტაძარსაც მოელის გარუსება, თუ მოსკოვის გეგმა სისრულეში იქნა მოყვანილი.

ჩვენი წინაპრების, ბრწყინვალე მოლვაწეთა შემწეობით, მათი ზრუნვითა და შეუჩერებელი ცდებით განხორციელებული ოცნება, დღეს ვარდება საფრთხეში!

ბ-ნი შევარდნაძე აცხადებს: რუსული ენა მეორე ენად უნდა გავხადოთ. ჯერ ერთი, რაც ზევით ითქვა, მიღებულია ზომები რათა რუსული ენა თანდათანობით გადაიქცეს პირველ ენად, — ბ-ნი შევარდნაძე

ლებულობს კი რამებს, რათა წინ აღუდგეს ამ ჩვენთვის საბედის-წერო შედეგს? ენის საკითხი არ არის საგანი შინა პოლიტიკური ბრძოლის, ჩვენ პირველი დაუკრავდით ტაში შევარდნაძეს, რომ ბრძოლას გამოაცხადებდეს ქართული ენის დასაცავად, მაგრამ იგი და მისთანავე, რომელნიც შერიგებული არიან ლენინ-სტალინის ეროვნულ პოლიტიკას, ამას არ მოისურვებენ. მისთვის ეროვნული პოლიტიკა კი არის ე. წ. საბჭოთა „ფედერაციაში“ მოქცეული ერების ერთ საბჭოთა ერად გადაქცევა, ერთი ენით. ცხადია რუსულით. ამ ეროვნული პოლიტიკის ძირი მოდის თვით ლენინ-სტალინის მიერ დატოვებულ ანდერძიდან, და აი საბუთიც, მოუსმინოთ ჯერ სტალინს: „შეიძლება გაუკვირდეთ, რომ ჩვენ, რომლებიც მიზნად ვისახავთ ყველა ერების ერთ ერად გადაქცევას, საერთო კულტურით და ერთი ენით, ამავე დროს ჩვენ მომხრენი ვართ პროლეტარიატის დიქტატურის ერთ პერიოდში, ეროვნული კულტურის აღორძინების. ამაში ვასაკვირი არაფერია; უნდა მიეცეს საშუალება ყველა ნაციონალურ ჯგუფებს გამოავლინონ პოტენციალური შესაძლებლობან ნაციონალურ კულტურის სფეროში, რომ მომზადდეს ნიადაგი და შეიქმნას პირობები ერთა ათქვეფის, ერთი საერთო კულტურით და საერთო ენით“. ეს მზაკვრული პოლიტიკა ლენინმა გამოხატა ორი სიტყვით: „რაზდელენიკ დღია სლიანია“.

ეროვნებათა ათქვეფა — გადასახლება, ჩამოსახლება და სხვა. საბჭოთა ვაი ისტორიკოსები ისე შემრს მიდიან, რომ ამტკიცებენ, — ნაციონალურ კულტურის განვითარებისათვის, სრულებით საჭირო არ არის ერს ჰქონდეს თავისი ენა: — საბჭოთა კავშირში, დიდი ერის ენაზე აღგილობრივ მცხოვრებთ შეუძლიათ განვითარონ საკუთარი კულტურა და მისი მომავალ უზრუნველყონ. (იხ. ვაპრ. ისტორიი, № 69).

რუსული ენა რუსებისათვის და ყველა სხვა ერებისათვის, ცხადია, წარმოადგენს ფართო საშვალებას მომავალში ერების სრულ ასათქვე ფათო. გაკვრით გავიხსენოთ როცა საქართველო დაპყრობილი იქნა, ე. წ. „შულავერის მთავრობამ“ ხალხის შიშით ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა, მაგრამ მეორე დღესვე შეუდგა, თანდათანობით, დაწესებულებებში რუსულ ენაზე მიწერ-მოწერას, რაც დღესაც გრძელდება, კანონდება...

დამოუკიდებლობის ხანაში, მოხდა ჩვენი დედაქალაქის გაეროვნება, ვერსად ვერ დაინახავდით უკხო წარწერას, ყველა დაწესებულებაში იყო კერძო თუ სახელმწიფო მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე. იჩიგრებოდა ამით ქალაქში მცხოვრები რუსობა? სრულიადაც არა, მათ ჰქონდათ თავიანთი სკოლები, სადაც ბავშვები ღებულობდნენ სწავლა-განათლებას მშობლიურ ენაზე.

რუსული, ენ... გაბატონებას ხელს უწყობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები... მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ჩვენი ეკონომიკურ, სოციალურ სინამდვილესთან შეუფერებელი ინდუსტრიალიზაცია, რაც საბაზი გახდა რუს მუშახელის ჩამოსახლების. შინაური ემიგრაცია დღეს ბუნებრივი მოვლენაა; ამა თუ იმ ქვეყნის წარმოების საჭიროებისაგან გამოწვეული, მუშა-ხელი მიღის ხელშეკრულებით, და შემდეგ მისი საკუთარი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ბრუნდება თავის ქვეყანაში. იშვიათია თუ აქა-იქ ენმე მოისურვებს დარჩენას.

ჩვენში ჩამოსახლეს რუსები, გაუხსნეს სკოლა, მისცეს შელავათები და აი ნახევარ მილიონზე მეტი რუსი ჩვენს ეროვნულ სხეულს მიაწებეს. თუ რა შედეგი მოჰყვება ამას აღარ დავუბრუნდებით. ამავე დროს ბევრ ახალგაზრდა ქართველს თავი უსახელებია რუსეთის მხარეში, ამა თუ იმ სამუშაო დარგში, რასაც ქართველი „კომუნისტი“, სიამაყით აქვენებს. ამ ხანებში, სამარკანდის ველებზე არის გაგზავნილი თითქოს ფიზიკურ შრომის შესახევევად ათასეული ქართველობა, ახალგაზრდობა. კითხულობთ იქიდან გამოგზავნილ „ალფროთოვანებით“ დაწერილ რეპორტაჟებს და აზრი გებადებათ სრულიად შესაძლებელი; ამ ახალგაზრდებს შეეძლოთ ტეხნიკური ცოდნის მიღების შემდეგ — რუსთავში, ქუთაისში თუ სხვაგან საქართველოში, შეეცალათ ჩამოსახლებული რუსები. შორს არის ჩვენგან შოვინისტური აზრები, რომ ამ ჩასახლებას — გადასახლებას არ ქონდეს აშკარად განსაზღვრული მიზანი ჩვენი ეროვნული სახეობის წინააღმდეგ მიმართული. ცენტრი და აღვილობრივად მისი ერთგულნი, ცდილობენ ჩაუნერგონ მოქალაქეთ ერთი სამშობლოს არსებობა, საბჭოთის. შეპარვით მკვიდრდება სიტყვიერება. მაგალითად დედა ქალაქია მოსკოვი, „საბჭოთა მოქალაქე“, რაც გამოხატავს საბჭოთა კავშირის ერთ მთლიან ერთეულის სახეობას.

1981 წლამდე უნდა მოხდეს „კომუნიზმის“ დაფუძნება, უნდა მოიშალოს ნაციონალური საზღვრები, აი რა სწერია ახალ პროგრამაში: „კომუნისტური გიგანტიური მიღწევანი წარმოადგენენ შემდგომ განვითარარებას ერთა ურთიერთობაში, რომლებიც ერების სრულ დაახლოვებას და მათ თანდათანობით აღრევს. საბჭოთა კავშირში საზღვრები კარგავენ თვითან წინანდელ მნიშვნელობას“ -ო. დავასკვნათ ამით რომ თუ ენის სიწმინდისათვის ზრუნვა მეცნიერ მკვლევართა საქმეა, ენის ლიტერატურის, მისი უფლებისათვის ბრძოლა, თითეული ქართველის მოვალეობაა რითაც შეუძლია, როგორც შეუძლია, ოჯახში, დაწესებულებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, საუბარში, ლხინში და ჭირში. თუ ამ მოვალეობას დავიკისრებთ, მომავალი შეგვიძლია იმედინად წარმოვიდგინოთ.

..

**პლატონ ლეჭავა.**

## საპირბოსოტო საკითხებზე

... ყველა სახელმწიფო როგორიც არ უნდა იყვეს მისი პოლიტიკური წყობილება, დაინტერესებულია ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი თაობის აღზრდით. ამ მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებაც არ იჩენს სიძუნებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ახალი თაობის მორალურ-ზნეობრივ მხარეს. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ კომუნისტური მორალი და ზნეობა საბჭოური დიალექტიკით მოასწავებს მხოლოდ პარტიული მორალის ნორმების ღრმად დანერგვას ახალგაზრდებში. სხვაგვარი მორალი, როგორც ასეთი, საბჭოთა სახელმწიფოსათვის არ არსებობს. აქედან გამომდინარე კომუნისტური პროპაგანდა მიზნად ისახეს — მომავალი თაობა ფიქრობდეს და აზროვნობდეს მხოლოდ კომუნისტურად, მაგრამ ფიქრობდეს და აზროვნობდეს არა კრიტიკულად, არაკომუნისტურის კრიტიკულად განაალიზების შედეგად, არამედ დოგმატიურად, რადგან ასე საჭირო, რადგან ასე კარნახობენ ზევიდან. უნდა აღინიშნოს ხაზებამით, რომ მომავალი თაობის პარტიულ-მორალურ აღზრდას საბჭოთა სახელმწიფო, ბავშვების ადრეულ წლებიდან იწყებს. ხოლო როგორც კი ბავშვები ფეხს შედგამენ საბავშვო ბაგასა და ბალში, შემდეგ დაწყებითი სკოლის პირველ კლასში, რის შემდეგ ისინი ავტომატიურად ხდებიან ოქტომბრელთა და პიონერთა ორგანიზეციის წევრები, მათი ღოგმატიურ-მორალური წვრთნა მთელი ინტენსიურობით მიმდინარეობს. სკოლა, ბავშვთა პარტიული ორგანიზაციები, ბავშვებისათვის განკუთვნილი რიგი უურნალ-გაზეთები: „დილა“ და „პიონერი“, საბავშვო სკეკტაკლები, სხვადასხვა წრეები და ა. შ. ბავშვებს დღე-ნიადაგ უნერგავს ერთად ერთ მორალს — კომუნისტურს.

ამ მხრივ ნათელ სურათს იძლევა უურნალ „პიონერის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული ქალბატონ რუსულან წიქვაძის წერილი, „რელიგიური ტრადიციები“.

იწყებს რა თეორიულ მსჯელობას რელიგიაზე, წერილის ავტორი განუმარტავს ბავშვებს, რომ რელიგია, მათ შორის ქრისტიანული, ცურურწმენაა და რომ მისი შექმნა განაპირობა აღმიანების ჩამორჩენილობამ, ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეულმა შიშმა და უძლურობამ. ასეთი თეორიის დასამტკიცებლად მას მოყავს რიგი მაგალითები საქართველოსა და სხვა ქვეყნების რელიგიური ისტორიებიდან. ავტორი ასკენის: „მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ქრისტე სინამდვილეში არ არსებული პიროვნებაა. მით უმეტეს არ არსებობდა ის, როგორც ღმერთი, რამდენათაც ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა აღამიანის გონების შემოქმედების ნაყოფი“. ასეთია ქალბატონ რუსულანის „რკინისებური..“

ლოლიკა! მაგრამ ქრისტიანული რელიგია პირველყოფისა კეთილშობილი, ადამიანური და ჰუმანიური რწმენა და იმედის მომცემი რამ არის ხალხისათვის, ქრისტეს ჯერით ქართველობა საუკუნეების მანძილზე რომ იცავდა სამშობლოს, ეს წერილის ავტორს არ აინტერესებს, რადგან იგი წერს პარტიულ დაკვეთით, ხოლო კომუნისტური იდეოლოგია შორს დგას ყოველი ჰუმანიურისა და ადამიანურისაგან.

ამგვარად დაამტკიცა რა. რომ „ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გონიერის, ისიც ჩამორჩენილის, შემოქმედების ნაყოფი“, ავტორი წერილისა მოითხოვს ბრძოლის გაგრძელებას რელიგიის წინააღმდეგ და ისიც მორალური ეთიკისათვის მიუღებელი საშვალებით. იგი ბავშვებს განუმარტავს: „სამწუხაროდ რელიგიურ დღესასწაულებში ახალგაზრდებიც, თქვენი თანატოლებიც მონაწილეობენ ხოლმე. ხშირად ისინი მშობლებს მიჰყავთ ეკლესიებში, აიძულებენ პირჯვარი დაიწერონ, ეამბორონ ხატებს, მუხლი მოყარონ და ილოკონ. მშობლებს ავიწყდებათ. რომ ამით ხელს უწყობენ მომავალი თაობის სულიერ დამახინჯებას“, აქეზებს ის ბავშვებს წმობლების წინააღმდეგ.

ასე, წიქეაძის აზრით, უცოდველი პირჯვრის გადაწერა, „თურმე ხელს უწყობს მომავალი თაობის სულიერ დამახინჯებას“.

დავიჯეროთ რომ დავით აღმაშენებელი და თამარი, რომლებსაც ხალხი გამარჯვებამდე მიყავდათ, „სულიერად მახინჯნი იყვნენ“, ხოლო ლენინი და სტალინი, ეს ანტი-ქრისტენი, რომლებმაც უდანაშაულო ხალხის ზღვა სისხლი დააყენეს დედმიწის ერთ მეექვსედზე სულიერად ჯანსაღნი იყვნენ?! რომ გიორგი ბრწყინვალე და პატარა კახი, რომლებიც დღე-ნიადაგ ლოცულობდენ, გულზე ქრისტეს ჯვარს ატარებდენ, ერთ ხელში ჯერით და მეორეში ხმლით იცავდნ საქართველოს თავისუფლებას, ქართველების ქრისტიანობას, „სულიოთ მახინჯნი იყვნენ“ და ეღუარდ შევარდნაძე, რომელმაც ციხეები ქართველ პატიმრებით გაავსო და მრავალს ცამბირში უკრა თვით, სულიერად ჯანსაღი მოლვაწეა?!

1745 წლის პირველ ოქტომბერს, თეიმურაზი, ძველი ქართული წესით ქართლის მეფედ ეკურთხა. — ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომის 434-ტ გვერდზე. ახდა ქერთველი ხალხის საუკუნოვანი ნატვრა — ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდა და „ქართველობა შექმნა“. ვის ვერწმუნოთ, ქართველ ისტორიკოსებს თუ „პიონერის“ თეორეტიკოსეს?!

მაგრამ რა ქნას 10—12 წლის ასაკში მყოფმა პიონერმა, როცა მან ჯერ კარგად არ იცის ყოველივე ეს? ქალბატონი რუსუდანი ამ შემთხვევაშიაც იძლევა დარიგებას. იგი პიონერებს ეუბნება: „დღეს მშობლები

ხოგჯერ შეიღებს ჯვარს ჩამოკიდებენ ხოლმე. ბავშვები, ამას სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ, აუქსენით უფროსებს, რომ დაუშვებელია ალისფერი ყელსანვევის გვერდით, მკერდზე წამების სიმბოლოს — ჯვრის ტარება”, ამხედრებს იგი ბავშვებს მშობლების წინააღმდეგ.

როგორ უნდა დაარწმუნოს 10—12 წლის პიონერმა მეტ-ნაკლებად ჯანათლებული მშობლები, რომ რელიგია, თურმე სულიერად ამაზნ-ჯებს ადამიანებს, რომ წამების ჯვრის ტარება დაუშვებელია მისთვის? ამაზედ პასუხს ვერ გპოულობთ წიქვაძის „ფილოსოფოსიაში“. მაგრამ იუ კომუნისტური მორალის ნორმებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ პიონერს რჩება ერთად-ერთი გამოსავალი პიონერიბის დასამტკიცებლად: დაასმინოს მშობლები სათანადო ორგანოების წინაშე და შემდეგ მშობლებს საჭიროებისამებრ მოუვლის შინაგან საქმეთა სამინისტრო. აი მორალი და ზნეობა, რასაც ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთები დღე-ნიაღაგ ჩასჩინებს საქართველოს მომეალ თაობას.

ამგვარად, შეიღების მაღალ ზნეობრივ-მორალური აღზრდის საქმეში ქართულ ოჯახს აშეარად უპირისპირდება მომავალი თაობის პარტიული, „ოქტომბრელთა“ და „პიონერთა“ ორგანიზაციები, მათი საინფორმაციო საშვალებები, პარტიული და სახელმწიფო აპარატი მთლიანად. ამ ფარულ და აშეარა ჭიდოლში, ჩანს, სასწორი ოჯახის შხარეზეა გადახრილი. ეს კი გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ე. წ. კომუნისტური მორალის ქადაგებლებში.

დ. ურატაძე.

## ე თ ე რ ი ფ ა ღ ა ს ა ხალი მიღწევები

...ჯერ კიდევ 6 წლის ეთერიმ მიიქცა დიდ ბალეტმეისტერის სერქ ლიფარის ყურადღება, რომლის რჩევით ის შედის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

13 წლისამ, განთქმულ მოცეკვავის როლან პეტის ბალეტში დაიმკვიდრა ბალეტინას სახელი. მერე სერქ ლიფარმა ეთერი მიიწვია, ცნობილ ძარის დე კუევას ბალეტში.

გათქმულ ქორეოგრაფმა ბალანჩინმა სოხოვა მას მიეღო მონაწილეობა მის საგასტროლო ბალეტში. რომელშიც ეთერი გამოირჩეოდა მისადამი მიკუთვნილ როლის შესრულებაში.

შეძდევ მისი მუშაობა დაკავშირებულია პარიზის დიდ ოპერასთან, სადაც მისი მონაწილეობით დადგმული იქნა ცნობილი „ატლანტიდა“. ასტრერდამის ნაციონალურ ბალეტში მას მიენიჭა პრიმა - ბალერინას სახელი.

შსოფლიოს, თითქმის ყველა დიდ ქალაქში, სადაც ეთერი ფალავამ იძოგზაურა, წილად ხვდა აღფრთოვანებული მიღებები. აღგილობრივმა პრესამ ყველვან აღნიშნა მისგან ჩატარებული როლების ამაღლებული ხელმიწვევით შესრულება.

შემდეგ ეთერი ოვით ადგენს ბალეტს და მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში. აქ გამოჩენდა მისი ქორეოგრაფიული ცოდნა, მისი ხელოვნების ოსტატობა. ქორეოგრაფიულ ხელოვნების დარგის კრიტიკამ მას ჯადვნა მრავალი ლირს შესანიშნავი შეფასება, რომელთა შინაარსის ვაღმოცემა აქ შეუძლებელია,— მან შეიძლება მთელი ტომეული დაიჭიროს. მოკლედ აღვნიშნავთ უმთავრეს როლებში მისგან სიცოცხლის და სიყვარულის გამოვლინებას; სიცოცხლის მჩქეფარე განცდას, ზოგჯერ ის არის მგზნებარე: მისი აღფრთოვანების წყაროს სიცოცხლის აქტიური შეგრძნება; ცეკვა მისი აღსავსე პირველად განცდილ სიყვარულით, სიცოცხლისა და ბეღნიერების დიდის რწმენით; ყოველგვარ ძალდატანებას მოკლებულ მის ცეკვაში ჰარმონიულად შერწყმულია მისი მოძრაობის პაროვნება, განცდის სიღრმე. ხან კიდევ სიბრალულის, სიცოცხლის მძაფრი სწრაფვა, ან კიდევ სიცოცხლის დამამკვიდრებელი ენერგია, ზეაწეული პათეტიკა, დიდი მიზნისაკენ სწრაფვის მამოძრავებელ ძალას რომ წარმოადგენს...

გასულ წლის რიცხვებში, მისი მიღწევა განსაკუთრებული ხასიათისაა. ეფთილშობლური მიზნით ალპურვილმა ეთერიმ შეაღვინა პროექტი, რომელიც განვითარება მცირეწლოვან ბავშვთა ფიზიკურ და გონიეროვ განვითარების საქმეს. პროექტი დაბეჭდილ იქნა „უნესკოს“ უურნალში, იგი წარდგენილი იქნა საფრ. განათლების სამინ-როს საკონკურსო კომისიაში, სადაც რამდენიმე პროექტთა შორის მხოლოდ ეთერის პროექტი იქნა მოწონებული. განათლების მინისტრმა მას მიმართა წერილობით, შემდეგ მიიღო დიდის პატივისცემით, მოუსმინა ყურადღებით და აღუთქვა ნივთიერი დახმარების გაორკეცება. მის მიერ დაარსებულ ბავშვთა საცეკვაო სკოლისათვის.

უსურვებთ ქ-ნ ეთერა ფალავას კვლავ ახალ-ახალ წარმატებებს.

## X X

### ჩართველ ახალგაზრდების გაფვიპა რუსულ ჯარში

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებაში ნათქვამია: „სამხედრო სამსახურში გაწვეული იქმნან მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი“.

საბჭოთა თუ რუსულ არმიაში, სხვა მრავალთა შორის, არის ქართველ ახალწევეულებისათვისაც არა მარტო რუსული ენის თავზე მოხვევის „როული მანქანა“, არამედ კიდევ მეტი; საბჭოთა ანუ რუსული არმია და საზღვაო ფლოტი არის ჩევნის ახალგაზრდობაში რუსული კულტურის, რუსული ზნე-ჩვეულებების, რუსული ცხოვრების ყაიდის, რუსული პატრიოტიზმის, რუსეთის ისტორიის. რუსული სამხედრო ტრადიციების და საერთოდ რუსიფიკაციის დანერვების „ჯალისნური მანქანა!“ და აյ ისევ მაგონდება ნოდარ წულეისკირის აზრები, რომელიც მან გამოთქვა თავის წერილში: „ნუ დავიციწყებთ მშობლიურ ენას!“

ახალგაზრდას ყევლაფერს ვასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიურ ისტორიისა!

ქართველ ხალხს ვეუბნებით შემდეგს: თქვენ გელით შესანიშნავი მომავალი, თქვენ იცხოვრებთ კომუნიზმში, ე. ი. იცხოვრებთ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მოთხოვნილების მიხედვით გენება ყველაფერი ის, რაც დღეს გაյლიათ, ოღონდ არ გენებათ ენა, არ იქნებით ქართველი, დაკარგვათ ეროვნულ თავისებურობას, დაკარგვათ საქართველოს“. და ამ სიტყვებით ნოდარ წულეისკირმა მიმართა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს — ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს მწერალთა კავშირში სტუმრობის დროს!.. მაგრამ რა?.. — საბჭოთა კავშირის დიდმცყრობელურ-შოვინისტური მანქანა განავრძობს მოქმედებას, განავრძობს რუსიფიკატორულ ქვაბში მოხარშოს ჩევნი საზღვაზრდობაც. და საქართველოს ხელმძღვანელობაც გულშე ხელდაკრეფილი უყურებს ჩევნი ერის მომავალი თაობის ასეთ უცხო და რუსიტივატორულ ქვაბში ხარშეას!..

მაგრამ ამ საკითხს აქვს სხვა ასპექტებიც: მაგალითად, რატომ საქართველოს ახალწევეულები უნდა იყენენ იძულებულნი სამხედრო სამსახური მოიხადონ არა მარტო რუსულ ენაზე, რუსული სამხედრო ტრადიციების მიხედვით, არამედ საქართველოდან შორის, ვთქვათ. ციმბირში, თუ შორეულ ახანგელსკში?.. მერმეთ, სამხედრო ვალდებულების მოხდა ეხება არა მარტო ერთ თაობას, თუ ერთი რომელიმე წლის ახალწევეულებს, არამედ ყველა ქართველ ახალგაზრდას. რის შედეგად ჩევნი, როგორც ახალგაზრდები, ისევე ხანში შესულები იძულებული ვიყვაით და ვართ რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მოგვეხადა თუ მოვიხილოთ სამხედრო ვალდებულება!2. ვითომ ყველაფერი ეს არ არის არა მარტო დიდმცყრობელურ-შოვინისტურ და რუსიფიკატორული პოლიტიკა, არამედ საქართველოს. როგორც სახელმწიფოს გარდაუვალი ინტერესებიც უგულებელჲოფა? — საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების ძალით ხომ საქართველოს უფლება აქვს იყო-

ლიოს თავისი საკუთარი „სამხედრო შენაერთები?“.. და რა უფლებით აღლვევს საბჭოთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა კონსტიტუციის ამ დიდი მნიშვნელობის დებულებას? ..

1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ომისა, რომელითაც ლენინმა იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, იმავე ლენინმა მოითხოვა „ქართული წითელი არმიის“ შექმნა და, მართლაც, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა წლებამდე არსებობდა საქართველოს წითელი არმია, რომელიც განლაგებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე: ხოლო არმიაში, მეტ-ნაკლებად, ბატონობდა ქართული სამხედრო ტრადიციები, გაისმოდა ქართული მხედრულები და, რაც დიდი მნიშვნელობისაა, საქართველოს წითელ არმიაში ბატონობდა ქართული ენა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა პერიოდში, საქართველოს წითელი არმია — მოსკოვის ბრძანებით დაშალეს და აურიგეს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებში, რითაც საქართველო არა მარტო იქნა სრულიად განიარაღებული ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ქართველი ახალწევეულები და სამხედრო პირები მიმოიფარგლებოდნენ ტერიტორიაზე. შეკვეთის შემდეგ ისევ ძველ გზაზე დადგა. და — როგორც გვიამდეს — უკანასკნელი ქართული დივიზია, რომელიც იდგა ქუთაისში, განუიარაღებია და დაუშლია 1956 წლის მარტში. როგორც თბილისში დაიწყო სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები, რომლებიც სისხლში ჩახსრი, როგორც გადმოგვცეს, თბილისის ახლო განლაგებული ე. წ. „მერვე პოლკის ჯარისკაცებმა“. რა თქმა უნდა, ცენტრის ბრძანებით, და საქმის ასეთი კითარების დროს — ნუთუ ჩვენ არ უნდა შეეცადოთ, სულ ცოტა. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების იმ მუხლების ცხოვრებაში გატარებას მაინც, რომელთა თანახმად შესაძლებელია ქართული სამხედრო შენაერთების შექმნა საქართველოში, რითაც საქართველოს ახალწევეულებს შესაძლებლობა მიეცემოდათ სამხედრო ვალდებულება მოიხადონ საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულ ენაზე, და მეტ-ნაკლებად, ქართული მდიდარი სამხედრო ტრადიციების მიხედვით.

კ. ინასარიძე.



## მ ც ი რ ა მ თ გ რ ი ნ ი ბ ე ბ ი

### III

(ძელი რვეულიდან).

... ამ აფორიაქებულ მდგომარეობაში ჩვენა ფიქრები სამშობლოაკენ მიისწრაფვიან.

განა საჭიროა ათასჯერ დაწერილი და ნათქვამი აქ კვლავ გავიხსევთ, თუ რა დიდი უბედურება, ტანჯვა-წვალება გადაუტანია ჩვენს ერს წარსულში? ქართველ ერის ისტორია, ქართულ სისხლში ამოვლებული კალმით ახატულია, თავისუფლებისათვის ბრძოლით, გამარჯვებით, და დამარცხებით. რა ურჯულონი, და ოჯულის მატარებელნი დახარბებით მის მზიურ მიღმამოს, მის ბუნების სიუხვით შემკულ მინდორ-ეკლესის. საუკუნეშე მეტი იბატონა ჩრდილოეთიდან შემოსულ ერთმორწმუნე რუსეთმა ჩვენში. დავალწიეთ თავი მის ბატონობას, მისგან ჩაგვრას, კვლავ შემოვცვესია და დაგვიძყრო.

ამებად, ერთი ფიქრი სტანჯავს ჩვენს გულსა და სულს, სასოწარკვეთილებაში გვაგდებს. არავისათვის სადაო არ არის, რომ ქვეყნის თავისუფლების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ერთის პირობით. — ეს არის სამშობლოს შვილთა ერთობა, ერთპირიანობა, მტრის წინაშე ერთად დგომა. ერთად მოქმედება, განდევნა შურიანობის, ორგულობის, შენ-ჩემობის. ბევრჯერ ხომ შინაურმა შულლმა და დავამ უდიდესი ვნება შოუტანა ჩვენს ეროვნულ სხეულს, მტრეს გაუადვილა ჩვენს ოჯახში შემოჭრა და იქ გაბატონება.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვეს სახრჩობელაო“, — ტყვილად კი არ უთქვამს ჩვენს საყვარელ პოეტს; ერთობაში ხედავდა ივი ჩვენი გამარჯვების საშინდარს. რაც უკანასკნელად ჩვენს ერს ტრალეონია დაატყდა ივი განსაკუთრებულად მწვავე ხასიათისაა. ქართველების მცირე ჯგუფმა, არა ერთჯერ საცადა შეგნიდან აეფეთქებია ნორჩი რესტუბლიკა. თითოეული ცდა სამარცვინოდ დასრულდა. ხალხმა არ აპყვაბათ სათვალმაქუ დაპირებებს, მათ ყალბ თეორიებს უცხოეთიდან შეშოტანილს, მის ეროვნულ ცხოვრებისათვის შეუფერებელს და უჩვეულს. როცა არც სოფლად, არც ქალაქად მათ ფეხი ვერ მოიკიდეს, გაიქცნენ მოსკოვში. ჩადგენ რუსეთის სამსახურში. შეიძლება მათ დავ-

წამოთ, რომ მათ არ იცოდნენ ჩრდილოეთის განზრახვები კავკასიაში და კერძოდ საქართველოში? ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ მათი ავად-მყოფური ამბიციები, დაემთხვევა, რუსეთის იმპერიალისტურ მიზნებს... ქართველი ერის მოღალატე ფილიპე მახარაძემ, როცა დაინახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობამ ფეხზე დააყენა მთელი სა-ქართველო, ავორდა საპროტესტო ტალღები, აურინა პატაკი მოსკოვში, სადაც ქართველი ბოლშევიკების სიკოტრე ამცნ. რასაკირველია, მას თავი დამნაშავედ არ უცვნია. პირიქით უსაყვედურებს თავის პატრიონს, — ჯერ არ იყო საჭირო, „რეფორმები“, დამოუკიდებლობა ფორმალურად მაინც დარჩენილიყო, სანამ მოვმარდებოდით.

შოსკოვის ჯარის მეგზურებმა მიხედნენ, რომ მოსტყუვდნენ, ხმა აღიმაღლეს. განა ქვეყნის ინტერესებიდან გამოდიოდა მათი პროცესტი? მოსკოვმა ჯერ აჰეთა მათი უფლებები, შემდეგ თითეულად, ტყვიით გული განუვირა... .

შეიძლება რაიმე შემამსუბუქებელი საბუთი მოუნახოთ მათ მოქმებას? არავითარი. ისტორიის სამსჯავრო მათვის იქნება ულმობელი, განა-ჩენი გადაეცემა თაობიდან თაობებს. ვითარცა გამაფრთხილებელი. მათ წემდეგ თაობები აღიზარდნენ... რაც მოხდა ძელ თაობიდან, მათ იდე-ოლოგიურ მემკვიდრებს წილი არ მიუძლეოთ. მათი ლეთიური ვალია აზროვნებით, სულითა და გულით გაემიჯნონ მათ ნამოქმედარს., მათ შეირ შემოტანილ უცხო სიციალურ-პოლიტიკურ დოქტრინას. ჩვენი ქვეყანა ლირსია იყვეს თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული. ახალთაობათა ვალია ამაზე ფიქრი, ზრუნვა და მოქმედება. მათი დრო-ში უნდა იყვეს: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“!

პარიზი. 1936 წ.

### როგორ დაარსადა... .

1949 წელია... „არსაიდან ხმა, არსით ძაბილი“. ირგვლივ სიცარიელეა! თითქოს ომის ქარიშხალმა თან წაღლო მომავლის იმედები.

უმოქმედობას ვეღარ იტანს მეტროლთა გული, საჭიროა კვლავ მეტყველდეს ჩვენი ენა, კვლავ ამოხეთქოს, სამშობლოვან სადღაც წორს გარტყოცნილ შვილთა საპროტესტო ხმამ. — კვლავ ბრძოლისაკენ! გვიძახის უხილავი ძალა.

ვინ თუ, არა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მიმრქმელი, ყველაზე მეტად გრძნობს, ჩვენი ამძრავების აუცილებლობას. — ვლებულობ მცირე ბარათს, სადაც სხვათაშორის ეწერა: შემოიარე ჩემთან დაუ-

ყონებლივ". გულმა ცემას უმატა, თითქოს გარდავიქმენი, ხალისმა აქიტაცა, სიხარულის გრძნობაშ შემიპყრო. მაშინვე გავქანდი: „უსათუ-ოდ რაიმე დავალებას მომცემს“ — გავიფიქრე, ნაშუადღევის 3 საათი იქნებოდა, ნოე უორდანია ბინაზე მარტო დამხ-უდა, კარი გამილო, ავედით მის სამუშაო ოთახში, პირისპირ დავსხე-დით. „სანამდის უნდა იყოთ ასე უსაქმოდ, უნდა დავაარსოთ უურნა-ლი“, — მითხრა მან და მომაჩერდა, თითქოს ჩემგან უნდოდა ნებარ-თვა. — „წადი თუ კაცი ხარ, ინახულე ევგენი, გადაეცა ჩემენი განზ-რახვა და სთხოვე ხვალ ამდროს აქ მოვიდეს. შეიარე კ. კანდელაკთან, თუ მოსვლა არ შეუძლია. დავვიწეროს წერილი, მან კარგად იცის თუ რა არის საჭირო. იფიქრე ხვალამდე რა დავარქვათ უურნალს“. და ცო-რა გასაუბრების შემდეგ, გამოვემშვიდობე.

სალაშოს შევიარე ევ. გეგეჭკორთან. სიამოქნებით მიიღო წინადა-დება. შერე კ. კანდელაკთან შევიარე. „ცოტა შეუძლოდ ვარ. მოსვ-ლით ვერ მოვალ, მაგრამ წერილს უსათუოდ დაეწერო“. — თქვა მან. სლიერ გაუხარდა უურნალის დაარსება. მეორე დღეს. ნოე უორდანის სამუშაო ოთახში ვართ. ევგენი ხუმრობის ხასიათზეა: სამთა შეოქ-მულობა უწოდა ჩემს შეხვედრის. ნოემ თავისი გეგმა უურნალის პროგ-რამისა წარმოადგინა, თან მოწინავე წერილი წაიკითხა. მას ჩევულებათ ჰქონდა, ამის წინ „ბრძ. ხმის“ რედაქციაში, წაიკითხავდა თუ არა თა-ვის წერილს. დააყოლებდა: „აბა რას იტყვით“-ი. აქაც გაიმეორა. მე შევაჩერდი ევგენის რომელმაც „დიდებულია ნოე!“ თქვა. მე ხომ წი-ნათაც, არასდროს მიმიცია ჩემი თავისთვის უფლება, ნოეს შევეკამთე-ბოდი. არ ვიცი, ეს იყო მიზეზი, თუ სხვა, ერთ დღეს მასთან საუბარში, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ძნელია ისეთ კაცთან მუშაობა, რომელიც თავის აზრს არასდროს იტყვისონ“. ეს სხვათა შორის.

უურნალის სახელწოდება მას უკვე მზად ჰქონდა და მოკლედ თავისე-ბურად მოსჭრა: „ჩეენ ხომ დროშა არ მოგვიხსნია: იმაზე აწერია: თა-ვისუფლება ერთს, თავისუფლება აღამიანის, ეს „ჩეენი დროშა“ უნდა გამოჩნდესონ“.

მე მომცეს დავალება, ლევილში მენახა ზაქარია ჩიჩუა და გ. ერაძე. როცა ზაქარიას უთხარი: შენ და გიორგიმ უნდა გაუძლვეთ ადგი-

ლობრივად შეთქი, მას გაეხარდა. მაგრამ ისე მაგრად შეუკურითა ზოგიერთებს, რომ გავირვებული დავრჩი და თან ლიმილით შევსცეროდი: „სად არიან სხვები, ბედაური კალმოსნები“-ო, თითეულად ჩამოთვლა ცალ-ცალკე, თავისებურად შეამკო...“

დაუგიშყარი ზაქარია ჩიჩუა იყო ძალზე ენერგიული მუშაკი, მწიგნიბარი, უაღრესად წესრიგის კაცი, ამსრულებელი, მაგრამ კვიმატი ენის, თუ ვინმეს კბილს დაასობდა, გაანადგურებდა, არ დაზოგავდა. ნოეს ასეულები პყავდა პატივისმცემელი, ერთგული თანამშრომელი, მაგრამ არ მგონია მას ისე თაყვანს ცემდა ვინმე, როგორც ზაქარია.

როცა პირველი ნომერი „ჩვენი დროშისა“ გამოვიდა, იმ დღესვე აცუტანე ნოეს. გარდაათვალიერა, არ დამავიშუდება, ლიმილით მითხრა: „მეორე ნომერი უკეთესი იქნება, სხვებიც მიიღებენ მონაწილეობას“-ო.

პირველ ნომერში, ცხადია, იყო ნოეს წერილები, ევგენის, კოშიასი და ოქენენი მონა მორჩილის, შემდეგ გამოცემებში, თანდათანობით შეგვემატენ თანამშრომლები.

### 3. სარჯველაძე.

1949 წელი.

## ჩართველობა უცხოეთში

### 3. სარჯველაძის მოხსენება.

გასულ წლის 12 სექტემბერს, საფრანგეთში მცხოვრებ მწერალთა და უურნალისტთა კავშირის მიერ მოწვეულ საზოგადო კრებაზე, რომელსაც თაემჯდომარეობდა პოეტი გ. ყიფიანი, მოხსენება გააკეთა 3. სარჯველაძემ, სამშობლოში ახლად გარდაცვლილ, ცნობილ მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების შესახებ.

შესავალში მომხსენებელი, სხვათა შორის, შეეხო მწერლობის როლს ერთს ბრძოლაში, აღნიშნა: „ცნობილია, რომ ეროვნულ ძნელ-

ჯედობის დროს. როცა ხალხს წართმეული აქვს უფლება, გამოავლინოს თავისი აზრი, ზრახვის და მისწავებანი. — ამ ეროვნული შეკიწროების ხანაში, მწერლობა, კერძოდ მხატვრული ლიტერატურა, ის დღი ტრიბუნაა საიდანაც ისმის ხმა გამკლავების. სხვადასხვა ქარაგმული თქმებით, ლიტერატურული ხერხით, რადგან მწერალი მუდამ უნდა იყვეს საზოგადოების სინდისი, ამხელერებული უსამართლობის წინააღმდეგ. მიმდინარე ეპოქაში, უმთავრესად საბჭოთში, მწერლისაგან მოვალეობის ასრულებას წინ ეღობება მძიმე დაბრკოლებანი. არა ერთი ლიტერატორი, მხატვარი და პოეტი დევნილი და შეკიწროებულია დიქტატურის მიერ"-ო.

მომხსენებელი იბჟებს თუ რა როლი ითამაშა წარსულში სასულიერო მწერლობამ: ამ ნიადაგზე წარმოიშვა ე. წ. აგიოგრაფია, სადაც აღნიშნულია სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის წამებულთა ცხოვრება (წმ. შუშანიქასი, აბი თბილელის და სხვების). ამით მაშინდელმა დამწერლობამ ერს გადაურჩინა ენა, ზენ-ჩევეულება, ტრადიციები. ამ დღესაც მწერლობას ენიჭება განსაკუთრებული როლი...

მომხსენებელი მწუხარებით აღნიშნავს ზოგიერთ ნიმუშებს, სადაც სხანს პოეზიისა თუ პროზის დაკანონება, რაც შედევგია ხელისუფლების დაწოლისა მწერლობაზე.

მიუხედავად ამისა ბევრთაგან სჩანს დადებითი შრომა, ჩეენს ეროვნულ მეობის და სახეობას დარაჯად უდგანან და შეძლებისადაგვარად ერკინებიან რეპრესიულ ზომებს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კ. გამსახურდის შემოქმედების ჰიკლე განხილვაზე. ავტორის პირველ რომანს „დიონისეს ლიმილს“ დადგებითი შეფასებას აღლებს. ხოლო მის „ვაზის ყველობაზე“ გაკუირვებას გამოსთქვამს. რომ კ. გამსახურდია, დიდი კულტურის ადამიანი, მცოდნე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ამ რომანში აცდა მწერლის ჭეშმარიტ მოწოდებას. მის დანიშნულებას, გაყალბებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, ნაწარმოები აშეარა დანიშნულია პროპაგანდისათვის, მთაერობის და პარტიის გამართლებისათვის"-ო...

გადადის რა მომხსენებელი ისტორიული რომანების განხილვაზე, ის უმაღლესად და ღირსეულად ახასიათებს კ. გამსახურდის ორ დიდ რომანს: „დავით აღმაშენებელსა“ და „დიდი ოსტრატის მარჯვენას“. თითეული რომანის და განსაკუთრებით მეორეს შინაარსს ვრცლად იხილავს და აღნიშნავს. რომ თავის ისტორიულ რომანებში, კ. გამსახურდიამ გამოამულავნა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი შევნება, მისი პოლიტიკური სიმწიფე და უნარი, აგრეთვე გამოაშეარავა

გამცემთა და ორგულთა ღალატი სამშობლოს მიმართ...

განსაკუთრებით საინტერესო იყო „დიდი ოსტატის“ გმირთა წარმოდგენა, მეფე გიორგი პირველის დახასიათება, მის მიერ წარმოებული საქართველოს გაერთიანების ცდები, არსაკიძის, — ხელოვნების უკვდავება, ქალი შორენას წმიდა სიყვარული, „სვეტიცხოვლის“ სიმბოლიური სახე, რომელიც დღესაც გზას უნათებს ტყვეობაში ჩავარდნილ ერს.

მიუხედავად ზოგიერთ უარყოფითი დამწერლობისა, რომლის განსჯას, მომსხენებელი მომავალს ანდობს, კ. გამსახურდისა სთვლის დიდ პატრიოტად, ქართულ კულტურის მედგარ დამცელად.

დამსწრე.



### გ ა კ ვ ი თ ..

მიუდევომელი ისტორიული დადებითად დააფასებს იმ კოლოსალურ ურომას, რომელიც გასწია ქართულ პოლიტიკურმა ემიგრაციაში უცხოეთში, ძალით წართმეულ ეროვნულ უფლების აღსაღვენად.

აზრთა სხვადასხვაობა საშუალებათა გამოსანახავად, ხშირი გამწვავებული კამათი, რაც ახასიათებს თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოებას და საბოლაოდ დისკიპლინა ეროვნული. აი ასეთ ატმოსფეროში ჩატარდა ეროვნული ბრძოლის თითეული ეპიზოდი და ასეთ ლირსეული. ნორმალურ მოქმედების გზით, ურთიერთ გაერის, ურთიერთ ატანის, მოთმინების გზით უნდა ვაგრძელდეს დღესაც და მომავალშიც მისი მუშაობა...

ახალგაზრდის ენერგია და ძველის გამოცდილება უნდა შეერთდეს და შედეულდეს, რაღაც ყველას ერთი მიზანი გვაერთიანებს. — ქართული საქმის სამსახური.

ხშირად ხდება, რომ საზოგადო ასპარეზზე მოქმედი პიროვნება დგამს ისეთ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ვნება მოუტანოს საერთო საქმეს — რაგვარ კეთილი განზრახვით აღჭურვილი არ იყოს მოქმედი პირი, უნებლივ შეცდომის პატივებაც შესაძლებელია და სასურველი. შემცდარის ჭრიშით გზაზე დაყენებაც კეთილი და სასარგებლოა... ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ბოროტების ჩამდენი და მოლალატე არ იქნას გაკიცხული, მისი საქმიანობა დაგმობილი. ხოლო უსაფუძვლოდ ადამიანის დასჯა მომაკვდინებელი ცოდვაა; ყალბ ცნობებზე, პირად ანგარიშებზე აგებული ბრალდება, ადამიანის სიცოცხლეში — სიკედილს უდრის...

ჩეენ დამოკრატები, იმით განსხვავდებით ტოტალიტალურ აზროვნებიდან, რომ ადამიანის პიროვნების პატივისცემა და მისდამი ფრთხილი მიღობმა გვახსიათებს.. .

გაყვრით ალვნიშნოთ, რომ სამშობლო არ არის **მარტო გეოგრაფიული შემეცნება**, ის არის. უმთავრესად ისტორია, ლიტერატურა. ტრადიციები, და საერთოდ, ითასწობით გამოქვედილი ერის სული. პირველს თუ მოქლებული ვართ და გვსურს მისი განთავისუფლება: უძალავრებად იმათმა, რომლებსაც ბედმა თუ უბედობამ არგვუნა მზის, სიხათლის ხილვა უცხოეთში. უნდა შეიირალდნენ ერის ისტორიის, კულტურის, ერის ახლო წარსულის ცოდნით. საბედნიეროთ სურვილი მათ არ აკლიათ ემსახურონ ქართულ საქმეს.. . რაც ჩეენს გულს ახარებს.

**ა. ბადრიძე.**

## მეორა ნინოს დღესასწაული და შობის ხე პარიზში

... როგორც ყოველ წელს, 16 იანვარს. პარიზის ქართველთა საზოგადოებამ მოაწყო საქართველოს გამანათლებელის წმ. ნინოს დღე. როგორც დაესწრო მრავალრიცხვების საზოგადოება.

მამა ილიამ წარმოსთქვა ამ დღის შესაფარი სიტყვა. მაღლობა გადაუხადა ჩეენს მეგობრებ შვედელებს. საეკლესიო დარბაზის დამობისათვის.

საზოგადოება ფრიად ასიამოენა. მცირეწლოვანთა გამოსვლამ. მათ იმლერეს ქართული სიმღერები.. .

ახალგაზრდებმა შეასრულეს ქართული ცეკვები. ყველა დამსწრე ბავშვებს დაურიგდათ ძვირფასი საჩუქრები.

საფოსტომოს თავმჯდომარე ბ-ნ ვიქტორ ხმელიკმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული მაღლობით და პატივისცემით მოიხსენია აწიგრდაცვლილი ლ. ზურაბიშვილი, რომლის მზრუნველობით. ცნობილი ივტომანქნების ქარხანა „სმე“ იძლეოდა შემოწირულების ყოველწლიურად ბავშვების საჩუქრების სახით და ქარხნის დირექტორის ეს შეონწირულება გააგრძელა წელსაც, რომელთანაც კავშირშია ქალბაზონი ექიმი თამარ აბდუშელისა და რომელსაც დიდ მაღლობას კუცხადებთ. ამით ჩეენ მოგვეცა საშუალება, წელსაც, ბავშვებს მიეღოთ ძვირფასი საჩუქრები.. .

დღესასწაული ჩატარდა ქართველთა შორის დიდი მეგობრული განწყობილებით.

## ს ი უ მ

როგორც ყოველ წელიწადს, გასული წლის 27 მაისს, სოშის ქარველმა საზოგადოებამ ერთსულოვნად გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის დღესასწაული. სათვისტოშის ბინაზე საზემო დარბაზი მოჩატული იყო ქართული დროშით, ყვავილებით, ლაში ქართული წარწერებით და ქართველი ხალხის საუკეთესო ბელადთა სურათებით.

დილის ათ საათზე შეიკრიბა საზოგადოება საზემო დარბაზში და საზემო კრება გახსნა ბ-ნ გ. ქვარცხავებ.

შისასალმებელი სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ: ბ-ნი ოლ. სალუქვაძე, ბ. ჭავიაშვილი, შ. ზედგინიძე, ლექსი წაიკითხა დ. ჭიმერიძემ და სხვებმა. კრებამ ცრთით წუთით ფეხშე ადგომით პატივი სკა საზოგადოების გარდაცვლილ წევრთა ხსოვნას: ნეტარქსენბულთ შათორიშვილის, ევ. აბულაძის და ს. ჭირაქაძის.

დღესასწაულს დაესწრო მთელი ქართველობა თავიანთი ოჯახებით და სტუმრები. საზემო სხდომის შემდეგ საზოგადოება გულუხვად გაუბისწინდლდა დამსწრებებს ქართული საჭმელ-სასმელით, რის ხარჯი გაცემული იქნა საზოგადოების სალაროდან.

დ. ჭიმერიძე.

## დავით და გერვალ გააზოვები

რედაქტორ მიიღო თელ-ავივის უნივერსიტეტის ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოების მიერ გამოცემული კრებული: „დავით და გერვალ ბააზოვები“.

მშვენიერი ქართული ენით ქალბატონი ფანი აღწერს თავის მამის დაუთის და ძმის გერვალის თავგადასავალს..

ჩვენ არ შევდივართ იმის გამოძიებაში თუ, რამდენად სრულია სიონიზმის მოძრაობის ისტორია საქართველოში, ამ კრებულში გადმოცემული. დავით ბააზოვი, ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანია ამ მოძრაობის ჩვენში, — ადმინისტრაციული რწმენთ და უმწკიცლო მორისით, თავდაცებული მებრძოლი თავის იდეალებისათვის. მისი ვაჟი გარცელი, ხომ ცნობილი იყო როგორც ქართველი დრამატურგი და მწერალი, გახდა მსხვერპლი, ისე როგორც მრავალი შეიიღ საქართველოსი სტალინის ჯალათური რეჟიმის..

## ნესტორ კალანდაძის დაბადებიდან ასი წლისთავი

1877 წლისა შეუმჩნევლად გავისტუმრო, რადგან ჩემთვისაც კერძოდ, მნიშვნელოვანია ეს თარიღი — სამი მარტი; მეორე ის რომ, შენ დაგიახლოვდი ჩვენი განთავისუფლების და სუვერენობის დროს, და მესა-შეც — სწორედ ამ ნეტარ დროს დავქორწილდი და შენ გეპყრა ხელში ჭორწინების გვირგვინი.

აბა შენი უურნალი „ეშმაკის მათრახი“, ქვეყნის მოსამართლე და მოა-შაგე ხომ განუშორებელი და განუყოფელი მეგობარი იყო ყველა ქარ-თული ოჯახის.

დევნილობაშიც, გლოვით და შრომით გამოსჭედე შენი უზომო სიყვა-რიული კვლავ დაპყრობილ ჩვენი ქვეყნის მიმართ.

ძეირფასონ ნესტორ! შენს ასი წლისთავზე ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენს საუკუნეში, ჩვენი თანადასწერებით, სამი წლის მანძილზე, თავისუფლად დურიალებდა სუვერენულ საქართველოს მადლიანი დროშა. ლ რ ა რწმენით რომ, ჩვენი მომავალი თაობები, კვლავ იგემზებენ ამ სანეტა-რო შოვლენას, კუსურვოთ მათ მარადიული გამარჯვება!

### 6. გოგუაძისა.

## † ლილი — პაპე გეგელაშვილი

გერმანიიდან გვატყობინებენ დიდათ სამწუხარო ცნობას: გასულ წლის 22 ოქტომბერს იქ გარდაიცვალა ლიდა—პეპე გეგელაშვილი.

განსვენებული უცხოეთში ცდილობდა შესაძლებლობის ფარგლებში საშსახური გაეწია სამშობლოსათვის. მან, ჩვენ მემამულე ნ. ჯანელიძე-თან ერთად გამოსცა ორი წიგნი გერმანულ ენაზე: „ქართული ზღაპრე-ბი..“ და „ქართული სამზარეულო“. რომლებმაც მიიღო კარგი გამოძახი-ლი გერმანულ საზოგადოებაში. ლილი იყო დამსახურებული საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწის სიმონ გეგელაშვილის ქალიშვილი.

ლილი — პაპე გეგელაშვილი დასაფლავებულია პამბურების ახლოს შედებარე ქალაქ იუმანეს-ში.

ნათესავებს და მეგობრებს „ჩვენი დროშა“-ს რედაქცია უცხადებს თანადნობას.

## † ბრიბოლ უ ჩ ა ძ ე

გასულ წლის 18 აგვისტოს ქ. დროში (სფრანგეთი), გარდაიცვალა გრიგოლ უჩიძე, რომელიც გადმოსვენებული იქნა ლევილის სასაფლაოზე.

განსვენებულმა, ქართულ საზოგადოებაში დასტოვა გულწრფელი პატრიოტის სახელი. სოციალ. - რევოლუციონერთა პარტიის თვალსაჩინო წევრი, თავდადებული მებრძოლი. მან განსაკუთრებით თავი ისახელა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

გადმოხვეწილობაში, თავის უმწევინოლო პატიოსანი შრომით იპყრობდა ყველას ყურადღებას და პატივისცემას.

**6. გოგუძისა.**

## † მიხეილ (მამიღ) ჯინჯარაძე

13 ოქტომბერს 1976 წლისა, ქ. მონაბელიარის (საფრანგეთი), საავად-ჰყოფოში, ხანგრძლივი ავადმკოფობის შემდეგ ვარდაიცალა სოშო-ოდენცურის ქართველთა საოვისტომოს ძეველი წევრი, მიხეილ (მამედ) ჯინჯარაძე, 78 წლის ასაკში. მისი ცხედარი გადმოსვენებული იქნა ფრანგულ კლესაში და სათანადო რელიგიურ წესების შესრულების შემდეგ დავასაფლავეთ მონტბელიარის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, 16 ოქტომბერს გასული წლისა.

განსვენებული მიხეილ ჯინჯარაძე იყო აქტიური წევრი სათვისტომოს აარსებიდანვე, და შეგნებულად თანაუგრძნობდა საქ. სოც.- დამოკრატიულ პარტიას სიკედილის უკანასკნელ წუთამდე.

მის დასაფლავებას, გარდა ქართველ მეგობრებისა, დაესწრენ ბევრი ძისი ნაცნობი უცხოელები: რუსები, პოლონელები და ფრანგები.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!

**დ. ჭიმერიძე.**

## † ვ ა ს ო ლ ა ბ ა ძ ე

11 ოქტომბერს ა/წ. უბედური შემთხვევით ტრალიკულად დაიღუპა ჩეენი ამხანაგი, მაბრძოლი პატრიოტი. და სამშობლოს წინაშე დიდად ვალმოხდილი ვასო ლაბაძე.

მის ხსოვნას ფართე ნეკროლოგი მიეძღვნება ჩეენი უურნალის მომავალ ნომერში.

გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მის დამწუხრებულ ოჯახს.

ჩ 3 0 6 0 ფ 0 6 4 0

მოსე იმნაიშვილი	300,00
გრ. უ ჩ ა ძ ი ს ხსოვნის აღსანიშნავად, ქ-ნ ნამოსაგან	250,00
კარლო ინასარიძე	200,00
ქ-ნი ლუბა აბდუშელი	200,00
ის. გაუონია	125,00
ხოშოს სათვისტომოდან	100,00
აკ. ასათიანი	100,00
ალ. გამყრელიძე	100,00
ჟორა ასათიანი	100,00
გრ. ბარამიძე	100,00
პრ. ინწყარველი	100,00
გრ. ქვარცხავა	100,00
გერ. ბოლქვაძე	50,00
მიხ. ხუნდაძე	50,00
ქრ. იმნაიშვილი	50,00
გ. ყიფიანი	50,00
კიტა რიჭამაძე	50,00
ნოსე იმნაიშვილი	30,00
უ. გრიგოლაშვილი	30,00
ერ. ყავრელიშვილი	20,00
დიმ. დათიაშვილი	20,00
ამერიკიდან: იქსიძე, იგრეევიძე, ვ. ახმეტელი, მამ. ზაქრაძე, ნ. თოფურია, გაბრ. აბულაძე, გოგი კიტაიშველი — თვითოულმა ათ- ათი დოლარი.	70 დოლარი.

რედაქცია მაღლობას უძლვნის შემომწირველთ.

უადგილობის გამო გადაიდო მომავალ ნომრისათვის პ. ს.: „სარწმუნოების დევნა რუსეთში წინად და ახლა.“